ბიულეტენი

№ 49
2001
თებერვალი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ISSN 1512-0813

2000 წლის საქართველოს
სამხედრო დიპლომატია

FRIEDRICH
EBERT
STIFTUNG

C 02 - 00940

© საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

© FRIEDRICH EBERT STIFTUNG

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრი

მამუკა ნეგიერიძე
ოთარ გაგუნაშვილი

2000 წლის საქართველოს სამხედრო
დიპლომატია (მიმოხილვა) ---------- 3

Friedrich-Ebert-Stiftung Bonn

C 02-00940

2000 წლის საქართველოს სამხედრო დოქტრინის (მიმოხილვა)

მამუკა ნებიერიძე
ოთარ ბაბუნაშვილი

„ფიზიკური უსაფრთხოება ნიშნავს სახელმწიფოს ტერიტორიისა და მისი ხალხის ყოველგვარი თავდასხმისაგან დაცვას, ამ უკანასკნელის ფასეულობებისა და ინსტიტუტების შესანარჩუნებლად.“
დეივიდ იაბლონსკი

ახალ ათასწლეულში საქართველო იმყოფება თავისი განვითარების პერიოდის მეტად კრიტიკულ მომენტში.

ქვეყანა ეკონომიკურ კრიზისშია, რომელიც მას თავს დაატყდა 1998 წელს და რომლის უარყოფითმა შედეგებმა მოიცვა ქვეყნის თითქმის ყველა ძირითადი სფერო. ქვეყანაში გამეფებული კორუფციის მაღალი დონე საშიშროებას უქმნის საქართველოს სახელმწიფოებრიობის არსებობას.

ეკონომიკურმა კრიზისმა მძიმე დარტყმა მიაყენა ქვეყნის თავდაცვის უნყებას, რომლის იმიჯი ქვეყანაში არსებული ნიჰილისტური ტენდენციების გამო შელახულია. ეკონომიკური კრიზისის შედეგად 50%-ით სეკვესტრირებულ იქნა თავდაცვის ისედაც მწირი ბიუჯეტი, რაც აფერხებს რეფორმების პროცესს და თითქმის შეუძლებელს ხდის მიმდინარე ამოცანების შესრულებას.

ფაქტია, რომ დღეისათვის თავდაცვა არ არის სახელმწიფოსათვის პრიორიტეტული სფერო და არ ხდება ხელისუფლების ყველა შტოს გაერთიანება ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამოცანის გარშემო. შესაბამისად არ კეთდება ნათელი, ცალსახა განცხადება საზოგადოების წინაშე, რომ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება არის სახელმწიფოს უსაფრთხოების ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი და რომ ქვეყნის ეროვნული რესურსები უნდა დაეთმოს ამ მიზნის უზრუნველყოფას.

ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს როგორც თავდაცვის სისტემის ქმედითუნარიანობის განმტკიცებაზე, ასევე მის პერსპექტიულ განვითარებაზე.

შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი ძალა დასავლეთში განათლებამიღებული სამხედრო თუ სამოქალაქო პერსონალია. სახელმწიფოს მხრიდან მათ მიმართ ხელფასების ქრონიკული გადაუხდელობა იწვევს აღნიშნული კადრების, კვალიფიცირებული სპეციალისტების დაკარგვას.

მიუხედავად ზემოაღნიშნული პრობლემებისა, პარტნიორი ქვეყნების დახმარება ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები შეიარაღებული ძალების რეფორმის კუთხით. კერძოდ, გათვალისწინებულ იქნა საერთაშორისო მრჩეველთა ჯგუფის (ISAB) რეკომენდაციები, რომლებშიც ასახულია ქვეყნის უსაფრთხოების სისტემების კონცეპტუალური და ინსტიტუციონალური რეფორმების საფუძვლები და შეიარაღებული ძალების ნატო-ს სტანდარტებზე გადაყვანის ეტაპობრივი პროცესები, იქმნება თვისობრივად ახალი, ნატოს სტანდარტების მიხედვით ჩამოყალიბებული გენერალური შტაბის ქვედანაყოფები, ლოგისტიკის (ზურგის მოწყობის ახალი, თანამედროვე მოდელი).

ISAB-ის რეკომენდაციების ჩარჩოში განსახორციელებელი თავდაცვითი სისტემების რეფორმის აუცილებლობა და მისი განვითარების კონკრეტული მიმართულებები დაადასტურა აშშ-ს ევროპის სარდლობის (US EUCOM) მიერ 2000 წლის თებერვლის თვეში განხორციელებულმა „საქართველოს თავდაცვითი სფეროს სრულმასშტაბიანი შესწავლა-შეფასების“ (Defense Assasement) პროცესმა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საგარეო ურთიერთობების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს პარტნიორ სახელმწიფოებთან არსებული კავშირების

განმტკიცება და არსებული კონტაქტების შემდგომი გაფართოება. ამ ეტაპზე ძირითადი აქცენტი კეთდება სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის სამართლებრივი ბაზის შექმნაზე, რაც ხელს უწყობს ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარებას. არანაკლებ მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობასა და დახმარების მიღებას როგორც განათლების, ასევე სხვადასხვა სახის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების კუთხით.

შემოგთავაზებთ სამხედრო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის 2000 წლის ანგარიშის მიმოხილვას.

ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲠᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲣᲨᲐᲚᲔᲑᲐ

ნატო-ს წევრი ქვეყნები

საქართველო - ამერიკის შეერთებული შტატები

დღეისათვის შეერთებული შტატები საქართველოსათვის წარმოადგენს ძირითად სტრატეგიულ პარტნიორს, რაც კარგად აისახება სწორედ ორმხრივი თანამშრომლობის ჩარჩოში თვისობრივად ახალი და პერსპექტიული მიმართულებების განვითარებაში.

ამ მიმართულებების განსაზღვრა და მათთან დაკავშირებული კონსულტაციების ჩატარება ძირითადში ხორციელდება მაღალი ხელმძღვანელი პირების ვიზიტებისას და ორმხრივი შეხვედრებისას. გასული წელი დატვირთული იყო ამგვარი საქმიანობის თვალსაზრისით, კერძოდ, 2000 წელს საქართველოს ეწვივენ:

· აშშ-ს ევროპული ჯარების სარდლის მოადგილე, ადმირალი ებოტი (18-20 მარტი);

· თავდაცვის მდივნის მოადგილე, უორნერი (21-22 ივნისი);

· გაერთიანებული შტაბების კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალი შელტონი (13 სექტემბერი);

· ჯორჯიის შტატის გვარდიის უფროსი, გენერალი პოუტრისი (29 სექტემბერი-5 ოქტომბერი);

· ევროპული სარდლობის დაგეგმარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის (J5) დირექტორი, გენერალ-მაიორი სიმფსონი (11-12 დეკემბერი).

2000 წლის 22 აპრილ - 1 მაისის შუალედში კი შედგა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის გენერალ-ლეიტენანტ ჯ. ფირცხალაიშვილის ოფიციალური ვიზიტი შეერთებულ შტატებში. ამავე წლის 24-25 აპრილს ქ. ვაშინგტონში გაიმართა საქართველო-აშშ-ს შორის უსაფრთხოების დიალოგის (Security Dialog) მე-4 რაუნდი, ხოლო 21-22 ივნისს თბილისში შედგა საქართველო-აშშ-ს ორმხრივი სამუშაო ჯგუფის (Bilateral Working Group - BWG) რიგით მეორე შეხვედრა.

2000 წელს გაწეული საქმიანობიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია შემდეგი მიმართულებები: საქართველოსათვის უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა საერთაშორისო საბჭოს (ISAB) საქმიანობა, თავდაცვის რესურსების მართვის სფერო (Defense Resource Management - DRM) და აშშ ევროპული სარდლობის შეფასებები (US EUCOM Defense Assessment), რომელიც 2000 წლის 1-5 თებერვალს განახორციელა აშშ ევროპული სარდლობის სპეციალურმა ჯგუფმა. ამ საქმიანობის შედეგად უკვე ჩამოყალიბებულია საქართველოს უსაფრთხოების სისტემის რეფორმირებისა და შემდგომი განვითარების საფუძვლები, ხოლო ევროპული სარდლობის რეკომენდაციები კი პრაქტიკულად წარმოადგენს საქართველოს შეიარაღებული ძალების შემდგომი განვითარების 10-15 წლიან პროგრამას. ყოველივე ამან ასახვა ჰპოვა საქართველოს „თეთრ წიგნში", რომელიც უახლოეს ხანში მიიღებს საბოლოო სახეს. დღეისათვის საქართველოს თავდაცვის უწყების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს საქართველოს შეიარაღებული ძალების ძირფესვიანი რეფორმირება, რომლის მიზანია NATO-სთან თავსებადობის მიღწევა, ამიტომაც ორმხრივი ურთიერთობების ჩარჩოში მიმდინარე პროგრამებისა და ღონისძიებების უმეტესობა მიმართულია ამ ამოცანის მხარდასაჭერად. 2000 წელს სწორედ ამ სახით ხორციელდებოდა და დღესაც გრძელდება თანამშრომლობა „პარტნიორობა მშვიდობისათვის" (Partnership for Peace Program - PFP), „უსაფრთხოების სფეროში დახმარებისა" (Security Assistance Program - SAP) და „სამხედრო კონტაქტების" (Military to Military Contacts Program) პროგრამების ჩარჩოებში.

ამ სახის თანამშრომლობას საფუძვლად უდევს რიგი ადრე ხელმოწერილი დოკუმენტებისა, რომელთა ჩარჩო (Frame) და რიცხვი ყოველწლიურად ფართოვდება.

1997 წლის 17 ივლისს ვაშინგტონში ხელმოწერილი, საქართველოსა და აშშ-ს შორის მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების თავიდან აცილების სფეროში თანამშრომლობისა და თავდაცვითი და სამხედრო კავშირების გაღრმავების „ჩარჩო შეთანხმების" (საქართველოს მხრიდან ხელი მოაწერა საქართველოს პრეზიდენტმა, ე. შევარდნაძემ, ხოლო აშშ-ის მხრიდან თავდაცვის მდივანმა უ. კოენმა; ძალაში შევიდა 1997 წლის 10 ნოემბერს) საფუძველზე, ყოველწლიურად ხელი ეწერება ორმხრივი თანამშრომლობის პროგრამებსა და გეგმებს. 2000 წლის 22 ივნისს ხელმოწერილ იქნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტს შორის 2000 წლის თანამშრომლობის გეგმა (ხელი მოაწერეს გენერალ-ლეიტენანტმა დ. თევზაძემ და ე. უორნერმა), ხოლო 2000 წლის 12 დეკემბერს ხელი მოეწერა საქართველოს თს-ოსა და აშშ-ს ევროპულ სარდლობას შორის 2001 წლის სამხედრო კონტაქტების პროგრამას (პოლკოვნიკი გ. გიორგობიანი და გენერალ-მაიორი ჩ. სიმპსონი). აღსანიშნავია, რომ აზავე წელს მოხდა თანამშრომლობის სფეროების გაფართოება, კერძოდ კი 2000 წლის 22 ივნისს გენერალ-ლეიტენანტმა დ. თევზაძემ და ე. უორნერმა ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას თავდაცვის სფეროსთან დაკავშირებულ გარემოს დაცვის საკითხებში თანამშრომლობის შესახებ.

ზემოაღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე, სამხედრო კონტაქტების 2000 წლის პროგრამის ფარგლებში შესრულდა შემდეგი ღონისძიებები, რომლებიც იყოფა შემდეგ 10 კატეგორიად:

· უმაღლესი ხელმძღვანელობისა და სარდლობის ვიზიტები (5 ღონისძიება);

· საშტაბო ვიზიტები და გაცვლები (28);

· კომბინირებული წვრთნები (3);

· სახმელეთო შემადგენლობის ვიზიტები და გაცვლები (8);

· სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობის ვიზიტები (6);

· სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობის ვიზიტები და გაცვლები (4);

· სასწავლო კურსები, სემინარები და კონფერენციები ჯ. მარშალის სახელობის ევროპის უსაფრთხოების შემსწავლელ ცენტრში (11);

· ღონისძიებები საქართველოსა და ჯორჯიის შტატის ეროვნულ გვარდიებს შორის (5).

გასულ წელს ჩატარებული წვრთნებიდან აღნიშვნის ღირსია სამხედრო-სამედიცინო სფეროში PFP-ის ეგიდით გამართული წვრთნა `Medcare 2000~ და „ჰუმანიტარული განაღმვის ოპერაციების" სამმხრივი წვრთნა (საქართველო-აზერბაიჯანი-სომხეთი), რომელიც ინიცირებული იყო ამერიკული მხარის მიერ და მიმართული იყო რეგიონალური სტაბილურობის განსამტკიცებლად.

უსაფრთხოების საკითხებში დახმარების პროგრამის (Security Assistance Program - SAP) ფარგლებში მოქმედი ქვეპროგრამების ჩარჩოში წარმოებდა შემდეგი საქმიანობა:

საერთაშორისო სამხედრო განათლებისა და წვრთნის (International Military Education and Training - IMET) 2000 ფისკალური წლის პროგრამის ფარგლებში აშშ-ში პროფესიულ განათლებას ღებულობს თავდაცვის სამინისტროს 9 წარმომადგენელი (გასულ წელს პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 400.000 აშშ დოლარს). ამასთანავე, შეძენილ იქნა 4.368 აშშ დოლარის სასწავლო ლიტერატურა.

აღსანიშნავია, რომ 2000 წელს გადაიდგა რეალური ნაბიჯი შეიარაღებულ ძალებში ინგლისური ენის სწავლების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების მიმართულებით. კერძოდ: ჩვენი ინიციატივითა და აშშ-ს მხარის დახმარებით გაერთიანებული სამხედრო აკადემიის ბაზაზე ჩამოყალიბდა ინგლისური ენის ინტენსიური სწავლების ჯგუფი, რომელიც შეიძლება განხილულ იქნას როგორც ენობრივი ცენტრის საფუძველი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მოკლევადიანი (5 თვე) სასწავლო კურსის შედეგები შესაძლოა მიჩნეულ იქნას როგორც ძალზედ წარმატებული (ამერიკული მხარის შეფასება).

საგარეო სამხედრო გაყიდვების (Foreign Military Sales - FMS), საგარეო სამხედრო დაფინანსებისა (Foreign Military Financing - FMF) და ჭარბი თავდაცვითი აღჭურვილობის (Excess Defense Articles - EDA) პროგრამების ფარგლებში გასულ წელს გრძელდებოდა მუშაობა საქართველოსათვის ამერიკული წარმოების ვერტმფრენების მოწოდების პროგრამის ჩარჩოში (ცნობისათვის: ითვალისწინებს 10 UH-1H ტიპის ვერტმფრენის გადმოცემას, რომელთაგან 4 განსაზღვრულია სათადარიგო ნაწილებისთვის). ვერტმფრენების გადმოცემა დაგეგმილია 2001 წლის გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში (სათადარიგო ნაწილებისთვის განკუთვნილი 4 ვერტმფრენი გაზაფხულზე, ხოლო გამართული 6 ვერტმფრენი ზაფხულში). უკვე გამოყოფილია და დამტკიცებულია ამ საქმისთვის აუცილებელი თანხები (9.500.000 აშშ-ის დოლარი). ამავე პროგრამის ფარგლებში, პროფესიული გადამზადების მიზნით, გასულ წელს აშშ-ში გაგზავნილ იქნა საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების 32 წარმომადგენელი.

2000 წელს უკვე განხორციელდა შემდეგი პროგრამები:

1. საკომუნიკაციო აპარატურის პროგრამა - მის ფარგლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გადმოეცა SINGAAR-ის ფირმის წარმოების საკომუნიკაციო აპარატურა (55 ერთ. გადასატანი და 8 სტაციონარი, საერთო ღირებულება 709.061 აშშ დოლარი). ქართულ კონტინგენტს ჩაუტარდა შესაბამისი ინსტრუქტაჟი (ბიუჯეტი შეადგენდა 360.000 აშშ დოლარს).

2. საველე ფორმების პროგრამა - მის ფარგლებში საქართველოს შეიარაღებულ ძალებს მოეწოდა 1.619.541 აშშ დოლარის ღირებულების

პროდუქცია, კერძოდ: 10.399 საველე ქურთუკი, 9.040 ერთეული კომუფლირებული შარვალი, 9.788 ერთეული ქუდი და 21.027 წყვილი მაღალყელიანი ფეხსაცმელი.

ცალკე აღნიშნვნის ღირსია „საჰაერო სივრცის უსაფრთხოების“ ინიციატივა (Air Safety Initiative - ASI), რომლის ფარგლებშიც პირველ ეტაპზე უნდა შეიქმნას სამხედრო-სამოქალაქო საჰაერო სუვერენიტეტის საოპერაციო ცენტრი (Air Sovereignty Operational Center - ASOC), რაც წარმოადგენს საჰაერო სივრცის მეთვალყურეობის (surveillance) სისტემას, რომელიც საშუალებას იძლევა დასავლური სტანდარტების შესაბამისად დანახულ იქნას ქვეყნის საჰაერო სივრცის სურათი. 2000 წლის ინვარში ამერიკელი ექსპერტების მიერ სრულად შესწავლილ იქნა საქართველოს საჰაერო თავდაცვისა და საჰაერო მოძრაობაზე კონტროლის სისტემები, მარტის თვეში გადმოცემულ იქნა დასკვნები და შესაბამისი რეკომენდაციები.

2000 წელს აშშ-ს მთავრობამ პირველად პირდაპირ უზრუნველყო ეუთო-ს მანდატით საქართველო-რუსეთის საზღვრის მონიტორინგი, რისთვისაც გამოიყო 925.000 აშშ დოლარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკული მხარის უშუალო მხარდაჭერით და დაფინანსებით დაიწყო საქართველოდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზების გაყვანის პროცესი.

საქართველო - თურქეთის რესპუბლიკა

საქართველოსა და თურქეთს შორის ურთიერთობები სამხედრო სფეროში ტრადიციულად ფართო არეალს მოიცავს, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ორი ქვეყნის მისწრაფებით, რეგიონში სტაბილურობისა და დემოკრატიის გასაღრმავებლად.

2000 წელს ორმხრივი თანამშრომლობის გეგმის მიხედვით როგორც თურქეთის რესპუბლიკაში, ასევე საქართველოში დაგეგმილი ვიზიტების უმრავლესობა წარმატებით იქნა განხორციელებული.

დღეისათვის თურქეთის რესპუბლიკასთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობის პრიორიტეტულ საკითხებად განისაზღვრა შემდეგი:

· მატერიალურ-ტექნიკური დახმარების გაგრძელება;

· თანამშრომლობა სამხედრო კადრების მომზადების სფეროში;

· ორმხრივი თანამშრომლობის ახალი სფეროების ათვისება.

2000 წლის 19 აპრილს ხელმოწერილი „საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამხედრო სფეროში გრანტის შესახებ“, ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოსათვის გამოიყო 4.000.000 აშშ დოლარის ოდენობის დახმარება. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ, ხელი მოეწერა ორ ოქმს, რომელმაც დააკონკრეტა გამოყოფილი თანხების მიზნობრივი ხარჯვის სფეროები. კერძოდ, 2000 წლის 19 აპრილს ხელმოწერილი „საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თურქეთის რესპუბლიკის გენერალურ შტაბს შორის ფინანსური დახმარების განხორციელების შესახებ ოქმისა“ და შემდეგომ 24 მაისს ხელმოწერილი ოქმის „საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თურქეთის რესპუბლიკის გენერალურ შტაბს შორის ზურგის სფეროში განსახორციელებელი საკითხების შესახებ“ საფუძველზე, საქართველოსათვის გამოყოფილი ზემოაღნიშნული თანხიდან, შესაბამისად 250.000 აშშ დოლარი განისაზღვრა ფულად დახმარებად, ხოლო 3.750.000 აშშ დოლარი მე-11 მოტომსროლელი ბრიგადის ბრძოლისუნარიანობის (მმბრ) ასამაღლებლად.

პირველი ოქმით დაკონკრეტდა შემდეგი პროექტები და ფულადი განაკვეთები:

1. თურქეთში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პერსონალის სასწავლო კურსის ხარჯები (15.000 აშშ დოლარი);

2. საქართველოში ჩამოსასვლელი თურქეთის სამხედრო დელეგაციებისათვის საჭირო ხარჯები (15.000 აშშ დოლარი);

3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პერსონალის თურქეთში ვიზიტის ხარჯები (45.000 აშშ დოლარი);

4. KFOR-ის ღონისძიებებში მონაწილეობისათვის ქართული სამშვიდობო ოცეულის ფულადი ანაზღაურება (135.000 აშშ დოლარი);

5. ნატო-ში საქართველოს სამხედრო წარმომადგენლის ხარჯები (40.000 აშშ დოლარი).

ხოლო მეორე ოქმით, განისაზღვრა მე-11 მოტომსროლელი ბრიგადის უზრუნველყოფის საკითხები სხვადასხვა ტიპის სატრანსპორტო საშუალებებით, კავშირგაბმულობის მოწყობილობებით, დანადგარებითა და სხვა ძირითადი მასალებით.

რაც შეეხება მე-11 მმბრ-ის ნატო-ს სტანდარტებზე გადასვლას, 2000 წლის ოქტომბერს თურქეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდა ბრიგადის ხელმძღვანელობა. ვიზიტის ძირითად მიზანს წარმოადგენდა თურქეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბის ბრიგადებთან ურთიერთობების დამყარება. ქართული დელეგაცია ესტუმრა ქ. ყაზვინში განლაგებულ მე-7 მექანიზირებულ დივიზიას, ქ. ყარსში განლაგებულ მე-14 ბრიგადას. თურქული ბრიგადების ხელმძღვანელობასთან შეხვედრებისას გამოითქვა მოსაზრება საერთო საშტაბო წვრთნების თაობაზე, რომელიც ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის შეიარაღებული ძალების ბრიგადებს

შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებასა და გამოცდილების გაზიარებას.

2000 წლის 17 ოქტომბერს ხელი მოეწერა ოქმს „საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თურქეთის რესპუბლიკის გენერალურ შტაბს შორის მარნეულის აეროდრომის მოდერნიზაციისა და ექსპლუატაციის შესახებ“, რომლის მიხედვით დაიწყო 1999 წლის პირველ ნახევარში გრანტით გათვალისწინებული მარნეულის სამხედრო აეროდრომის მოდერნიზაციისათვის საჭირო სამუშაოები. გამოყოფილი თანხა (750.000 აშშ დოლარი) ათვისებულ იქნა 2000 წლის დეკემბერში, აეროდრომზე მიმდინარე სამუშაოების საბოლოო დასრულებისათვის კი თურქულმა მხარემ დამატებით გამოყო 375.000 აშშ დოლარი. პროექტი დასრულდა მიმდინარე წლის იანვრის ბოლოსათვის, რის შედეგადაც შესაძლებელი შეიქნა დღისით, მარტივ მეტეოროლოგიურ პირობებში უსაფრთხო ფრენების განხორციელება.

2000 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა 1998-99 წლებში გრანტით გათვალისწინებული პროექტების შესრულება. კერძოდ, ქართულ მხარეს გადმოეცა 11 ერთეული საპროტოკოლო-სატრანსპორტო საშუალებანი (მათ შორის, თითოთითო ამბულატორული და მგზავრების გადასაყვანი მიკროავტობუსები), სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის კი 20 ცალი GPS-ის ტიპის სანავიგაციო სისტემა. საგარანტიო ვადით ექსპლუატაციაში შევიდა სამხედრო სასტუმრო „თორი“. რაც შეეხება სხვა პროექტების (გაერთიანებული სამხედრო აკადემიის სპორტკომპლექსი და სასროლეთი, გორის სასწავლო ცენტრის სატანკო პოლიგონი და სხვა) შესრულებას, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა, რათა მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული ექსპლუატაციისათვის საჭირო თანამედროვე სტანდარტები.

მიმდინარეობდა როგორც გრანტით გათვალისწინებული, ასევე გარანტს გარეშე დახმარებაც მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების სახით.

ქვეყნის შეაიარაღებული ძალების აღმშენებლობის პროცესში დიდი როლი ენიჭება ნატო-ს სტანდარტების შესაბამისად სამხედრო პერსონალის მომზადებას.

1998 წლიდან დაიწყო ქართველი სამხედრო პერსონალის გაგზავნა თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო სასწავლებლებში. დღემდე განათლების მისაღებად წარგზავნილ იქნა 66 ოფიცერი და 40 კადეტი, რომელთა ერთმა ნაწილმა დაამთავრა აღნიშნული სამხედრო სასწავლებლები და განაგრძობს სამსახურს საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში.

აქვე უნდა აღინიშნოს ის დიდი დახმარება და თანადგომა, რომელიც გაეწიჩინა თურქეთის მთავრობამ საქართველოს სამშვიდობო ოცეულის კოსოვოში სამშვიდობო მისიით გაგზავნაში, რაც შესაძლებელი გახდა “სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონისა და 1999 წლის 19 აგვისტოს ხელმოწერილი შეთანხმების “საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის კოსოვოში თურქეთის რესპუბლიკის სამშვიდობო ბატალიონის შემადგენლობაში გასაგზავნი ქართული სამშვიდობო ოცეულის შესახებ“ საფუძველზე.

შეთანხმების მიხედვით, ქართულმა სამშვიდობო ოცეულმა ოთხი კვირის განმავლობაში გაიარა წინასწარი მომზადება თურქეთის რესპუბლიკაში და შემდგომ გაეგზავნა კოსოვოში. ქართული სამშვიდობო ოცეული, აზერბაიჯანის ანალოგიურ ოცეულთან ერთად შედის თურქეთის რესპუბლიკის კოსოვოს სამშვიდობო ბატალიონის შემადგენლობაში და წარმატებით ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას. რიგით მეორე ქართულმა სამშვიდობო ოცეულმა 2000 წლის აპრილის თვეში, ხოლო რიგით მესამე ქართულმა სამშვიდობო ოცეულმა სექტემბრის თვეში გაიარა როტაცია და გაიგზავნა ახალი შემადგენლობა. სამშვიდობო მისიის შესრულებისათვის ფინანსური უზრუნველყოფა ორგანიზებულ იქნა თურქული მხარის მიერ (ყოველთვიური ხელფასის გარდა).

საქართველო - გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საქართველოს შორის სამხედრო სფეროში ურთიერთობები ვითარდება 1994 წლიდან, როდესაც საქართველოში გაიხსნა გერმანიის სამხედრო ატაშეს ოფისი. გერმანია ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც საქართველოსთან აქტიურად დაიწყო თანამშრომლობა სამხედრო სფეროში. ტრადიციულად, ეს ურთიერთობები ემყარება თავდაცვის საკითხებში გერმანიის დიდი გამოცდილების გაზიარებას და საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის დახმარების გაწევას.

ამ მიმართულებით არც 2000 წელი იყო გამონაკლისი, კერძოდ წარმატებით იქნა შესრულებული 2000 წლის ორმხრივი თანამშრომლობის გეგმა, რომელიც ძირითადად ორიენტირებული იყო სამხედრო განათლებაზე, შეიარაღებული ძალების დაგეგმარებაზე, შეიარაღებული ძალების დემოკრატიული მართვის მექანიზმების განვითარებაზე, სამობილიზაციო საქმეში გამოცდილების გაზიარებაზე, ზურგის დარგში თანამ-

შრომლობის განვითარებასა და სხვადასხვა სახის მატერიალური დახმარების გაწევაზე.

ბოლო წლების განმავლობაში გერმანიასთან თანამშრომლობის ძირითადი ასპექტები მდგომარეობს შემდეგში:

1. სამხედრო მოსამსახურეთა მომზადება გერმანიის სამხედრო-სასწავლო დაწესებულებებში (1994 წლიდან გერმანიაში განათლება მიიღო 130-ზე მეტმა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ);

2. თანამშრომლობა ზურგის დარგში (სტრუქტურის ფორმირება, ტექნიკური და მატერიალური დახმარებების გაწევა, სამედიცინო სფეროში ურთიერთობა და სხვა);

3. გორის სასწავლო ცენტრის რეორგანიზაცია.

მომავალი წლიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ზურგის მთავარ სამმართველოში პერიოდულად ჩამოვა გერმანელ ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ქართველ კოლეგებთან ერთად იმუშავებს ზურგის განვითარების საკითხებში.

2000 წლის ბოლოს ქართულმა მხარემ თხოვნით მიმართა გერმანიის თავდაცვის სამინისტროს, რათა მომავალ წელს გორის სასწავლო ცენტრში გამოგზავნილი იყოს გერმანელი მრჩეველი, რომლის ფუნქციებშიც შევა გორის სასწავლო ცენტრში უნტერ-ოფიცერთა მომზადების პროცესის მონიტორინგი. აღნიშნული წინადადება მოწონებულ იქნა გერმანული მხარის მიერ, რომელებიც გამოაგზავნიან წარმომადგენელს, სავარაუდოდ 2001 წლის მარტის შუა რიცხვებიდან (აღნიშნულ და კიდევ სხვა საკითხებზე სამუშაო ვიზიტით საქართველოს 2001 წლის იანვრის შუა რიცხვებში ეწვევა ISAB-ის წევრი გადამდგარი გენერალი ფონ ონდარცა).

რაც შეეხება გორის სასწავლო ცენტრის რეორგანიზაციას, გერმანული მხარის მოთხოვნაა, რომ ქართულმა მხარემ განსაზღვროს უნტერ-ოფიცერთა (სერჟანტების) მომზადების კონცეფცია, რომელიც მისადაგებულ უნდა იყოს საქართველოს რეალობასთან და არ უნდა წარმოადგენდეს რომელიმე ქვეყნის ანალოგიური კონცეფციის (მათ შორის გერმანიის) ზუსტ ასლს. სამწუხაროდ, საქართველოში აღნიშნული სახის კონცეფცია ჯერ კიდევ არ არსებობს, რაც იწვევს გორის სასწავლო ცენტრის რეორგანიზაციის პროცესის დროში გაწელვას.

აღნიშვნის ღირსია გაერთიანებულ სამხედრო აკადემიაში გერმანიის სამხედრო ატაშის დახმარებით შექმნილი გერმანული ენის სწავლების სპეციალური ჯგუფი, სადაც განათლებას იღებენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები. მათგან საუკეთესონი, შემდგომი გადამზადების მიზნით, გაიგზავნებიან გერმანიაში სასწავლებლად (სწავლებისა და სხვა ხარჯებს საქართველოშიც და გერმანიაშიც გაიღებს გერმანიის მხარე).

წელს პირველად გერმანიის სამხედრო უნივერსიტეტში პოლიტიკისა და მეცნიერების სფეროში 5-წლიან კურსზე საქართველოსათვის გამოიყოადგილი, რომელზედაც წარგზავნილ იქნა ქართველი სამხედრო მოსამსახურე.

2000 წლის განმავლობაში შედგა სამუშაო ვიზიტები როგორც გერმანიაში ასევე საქართველოში (ზურგის, სამობილიზაციო, განათლების, ვერიფიკაციისა და სხვა დარგებში).

მიმდინარე წელს, ობიექტური მიზეზების გამო არ იქნა რეალიზებული გერმანული მხარის შესაძლო დახმარების პროექტი, რომელიც ეხებოდა საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის 125 სხვადასხვა სახის სამხედრო-სატრანსპორტო საშუალების გადმოცემას. აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად მიმდინარეობს ორმხრივი კონსულტაციები, რომელიც თავისი აქტუალობიდან გამომდინარე, გაგრძელდება მომავალი 2001 წლის განმავლობაში.

ასევე, 2000 წლის ბოლოს გერმანულ მხარეს გადაეცა ე.წ. non-paper (არაოფიციალური დოკუმენტი), რომელიც ითვალისწინებს გერმანიის ბუნდესვერში მიმდინარე ჯარების შემცირებისას გამოთავისუფლებული სხვადასხვა მატერიალური თუ სანივთე ქონების საქართველოსათვის გადმოცემას მე-11 მმბრ-ის საჭიროებისათვის. აღნიშნული საკითხი აქტუალური იქნება მომავალი 2001 წლის განმავლობაში.

ასევე, ყურადღების ღირსია გერმანიის დახმარება რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანასა და საერთოდ საქართველო-რუსეთს შორის ეუთო-ს სტამბოლის შეთანხმების ხელშეწყობაში.

2000 წელს გერმანიის სამხედრო ატაშეს ოფისი დიდ დაინტერესებას იჩენდა ზემოაღნიშნული საკითხების მიმართ, რამაც ლოგიკური გაგრძელება ჰპოვა 26-29 ნოემბერს, გერმანიაში გამართულ სემინარზე საქართველო-მოლდოვისათვის. სემინარის თემა იყო უძრავი ქონების გადაცემა და ქონებრივ ფასეულობათა მოხმარება მათი კონვერსიის კუთხით; ჯარების გასვლის სამართლებრივი და უცხოეთის შეიარაღებული ძალების სტატუსის საკითხები. რუსეთის სამხედრო ბაზების არსებობასთან დაკავშირებული ეკონომიკური და ეკოლოგიური საკითხები.

რაც შეეხება, 2001 წლის ორმხრივი თანამშრომლობის პროგრამას, მასში გათვალისწინებულია სამხედრო და უსაფრთხოების პოლიტიკის; პირადი შემადგენლობის მართვის, დაგეგმვის, სტრუქტურისა და ორგანიზაციის; იდეოლოგიური მუშაობის; ბიუჯეტის დაგეგმარების; ენობრივი მომზადებისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობის; ზურგის დარგში თანამშრომლობისა და უნტერ-ოფიცერთა (სერჟანტთა) მომზადების ასპექტები.

საქართველო - დიდი ბრიტანეთი

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის ურთიერთობებს სამხედრო სფეროში საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ 1996 წელს, როდესაც ხელმოწერილ იქნა „ურთიერთგაგების მემორანდუმი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროებს შორის“, პრაქტიკულად 1999 წლამდე მხარეთა თანამშრომლობა მოიცავდა მხოლოდ ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე დასწრებას დიდ ბრიტანეთში.

ურთიერთობები სამხედრო სფეროში ფორსირებულად ვითარდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის გენერალ-ლეიტენანტ დ. თევზაძის დიდ ბრიტანეთში ვიზიტის შემდგომ (5-8 ოქტომბერი, 1999 წელი), რომლის დროსაც გამოიკვეთა თანამშრომლობის ინტერესთა ახალი სფეროები. ვიზიტის დროს ხელმოწერილი იქნა ახალი ურთიერთგაგების მემორანდუმი მხარეთა თავდაცვის სამინისტროებს შორის, რომელმაც დააკონკრეტა სამომავლო თანამშრომლობის სფეროები (აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1999 წლის 15 დეკემბერს ქ. თბილისში ხელმოწერილ იქნა „სამხედრო თანამშრომლობის პროგრამა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროს შორის 2000 წლისათვის“, რომელმაც მხარეთა თანამშრომლობას გეგმიური ხასიათი შესძინა).

საქართველოში 2000 წლის 1-3 მარტს და 1-3 აგვისტოს, შესაბამისად დიდი ბრიტანეთის თავდაცვის შტაბის უფროსის მოადგილის, ადმირალ სერ პიტერ ებოტისა და ბრიტანეთის თავდაცვის შტაბის უფროსის, გენერალ სერ ჩარლზ გათრის ვიზიტებმა მნიშვნელოვანწილად განაპირობეს საქართველო-ბრიტანეთის ურთიერთობების ახალ საფეხურზე ასვლა.

ამ ორმა ვიზიტმა პრაქტიკულად ხორცი შეასხა საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ დიდ ბრიტანეთში ვიზიტის დროს გამოთქმულ იდეას, რომელიც შეეხებოდა საქართველოს შეიარაღებული ძალების განათლების სისტემის ყოვლისმომცველი და ძირეული რეფორმის საკითხს, რაც გულისხმობს საქართველოში ფაქტიურად ახალი, NATO-ს წევრი ქვეყნების სამხედრო დოქტრინებზე ორიენტირებული სასწავლო სისტემის შექმნას.

საქართველოში არსებული სამხედრო განათლების სისტემა აგებულია კადრების აღზრდის საბჭოურ პრინციპებზე და საკმაოდ არაეფექტურია. ეს სისტემა მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა II მსოფლიო ომის გამოცდილებას და სრულიად გამოუსადეგარია თანამედროვე საომარი მოქმედებების პირობებში, რაც ცხადყო ბალკანეთისა და ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულმა კონფლიქტების გამოცდილებამ.

მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული სამხედრო აკადემია საკმაოდ დიდი სასწავლო დაწესებულებაა საქართველოს მასშტაბების მიხედვით (წელიწადში იგი 200-მდე ოფიცერს ამზადებს ჯარების სახეობებისა და გვარეობების მიხედვით, ხოლო სწავლის ხანგრძლივობა 4 წელიწადს შეადგენს), საქართველოს შეიარაღებული ძალები განიცდიან კვალიფიციური კადრების დიდ დეფიციტს. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის ის, რომ საქართველოში არსებული სამხედრო განათლების სისტემაში არ არის დანერგილი ოფიცერთა შემდგომი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები ანუ, არსებითად, ქართველი ოფიცრების 4-წლიანი მომზადება შემოიფარგლება ოცმეთაურის განათლებით.

აღნიშნული ვიზიტებისას ერთმნიშვნელოვნად იქნა დაფიქსირებული ბრიტანეთის მხარის მზადყოფნა შეიარაღებულ ძალებში რეფორმირების ხელშეწყობასა და სამხედრო განათლების სისტემის რეორგანიზაციის პროცესის დახმარებაზე, რადგანაც კადრების მომზადების სისტემის რეორგანიზაცია და დახვეწა ითვლება არმიის რეფორმის ძირეულ ამოცანად.

ამდენად, სამხედრო სფეროში საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის მიმდინარე დროისათვის გამოიკვეთა ორი ძირითადი პრიორიტეტი, კერძოდ:

- გაერთიანებული სამხედრო აკადემიის რეფორმა და სამხედრო სპეციალისტების მომზადების დასავლური სისტემის ჩამოყალიბება;
- შეიარაღებულ ძალებში ინგლისური ენის შესწავლის გაუმჯობესება.

პირველ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, ბრიტანელი ექსპერტების ვიზიტებმა გაერთიანებულ სამხედრო აკადემიაში, თავისი პრაქტიკული შედეგი უკვე გამოიღო. კერძოდ, 2000 წლის 4 სექტემბერს გაერთიანებულ სამხედრო აკადემიაში დაიწყო ე.წ. პილოტური, საწყისი კურსი, რომელიც მომავალში უნდა იქცეს საქართველოს შეიარაღებული ძალების განათლების სისტემის მთლიანი რეფორმის საფუძველი.

აღნიშნული კურსი მოდელირებულია ბრიტანეთის სენთჰარსტის სამეფო აკადემიის ოფიცერ-კადეტთა ძირითადი კურსის მიხედვით. ამ

კურსის ხანგრძლივობა განისაზღვრა 1 წლით, ნაცვლად აკადემიაში არსებული 4-წლიანი სწავლებისა. სწავლების ვადის შემცირება შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც დასავლური მოდელის შესაბამისად, კურსზე ჩაირიცხნენ უმაღლესი განათლების მქონე პირები, რაც შეიძლება კურსის ერთ-ერთ ღირსებად ჩაითვალოს.

პირველი კურსის დამთავრებისას, ბრიტანელი ექსპერტების მიერ მოხდება სწავლების ხარისხის შემოწმება და შესაბამისი ცვლილებებისა თუ შესწორებების შეტანა სწავლების პროგრამაში, რათა უკვე ამის საფუძველზე მოხდეს არმიისა და შემდგომში შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის ოფიცრის პირველადი მოსამზადებელი კურსის ჩამოყალიბება. აღნიშნულ პილოტურ კურსს ხელმძღვანელობს ქართველი ოფიცერი, რომელსაც დამთავრებული აქვს დიდი ბრიტანეთის სენჰარსტის სამეფო აკადემია (2000 წელს აღნიშნული აკადემია დაასრულა კიდევ ერთმა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ, ხოლო 2001 წელს კიდევ გაიგზავნება ერთი ოფიცერი).

ამ კურსის წარმატებული ფუნქციონირების შემთხვევაში 2001-02 სასწავლო წლისათვის ჩამოყალიბდება არმიის ოფიცერთა პირველადი მომზადების კურსი, ხოლო კურსები სხვა დანარჩენი სახეობებისათვის (სამხედრო-საჰაერო, სამხედრო-საზღვაო, მესაზღვრეები და შინაგანი ჯარი) დაიწყება ფუნქციონირებას 2002-03 სასწავლო წლისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნული განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს სწორედ დღეს, როდესაც საქართველოს შეიარაღებულ ძალებში დაწყებულია რეფორმირების პროცესი მისი ნატო-ს სტანდარტებზე ეტაპობრივი გადასვლის მიზნით. კვალიფიციური კადრების დეფიციტით კი ამ მიზნის მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია.

ამ ღონისძიებების შესრულების შემთხვევაში, საქართველოს შეიარაღებული ძალები ყოველწლიურად მიიღებს საქართველოში მომზადებულ დასავლეთის სტანდარტების შესაბამის სამხედრო კადრს, რაც თავის მხრივ მოგვცემს იმის საშუალებასაც, რომ საზღვარგარეთის ქვეყნების მიერ გამოყოფილი სახსრები უცხოეთში ამ ტიპის მომზადებისათვის გადანაწილდეს სხვა მიმართულებებზე.

რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ მეორე პრიორიტეტს - შეიარაღებულ ძალებში ინგლისური ენის შესწავლის გაუმჯობესებას, უნდა აღინიშნოს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში პირადი შემადგენლობის ინგლისური ენის ცოდნის საკმაოდ დაბალი დონე. ეს კი, თავის მხრივ, არ იძლევა იმის საშუალებას, რათა სრულფასოვნად გამოვიყენოთ კადრების საზღვარგარეთ მომზადებისა და წვრთნის არსებული საშუალებები. ამავე მიზეზით გართულებულია უახლესი სამხედრო და სამხედრო-ტექნიკური ინფორმაციის გაცნობა და ათვისება.

ამ პრობლემის ნაწილობრივ გამოსასწორებლად 1999 წლის შემოდგომაზე ბრიტანეთის საბჭოს ხელშეწყობით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში შეიქმნა ინგლისური ენის შემსწავლელი ცენტრი, თუმცა იგი ჯერ-ჯერობით არ აღმოჩნდა საკმარისი საკითხის საბოლოოდ გადაჭრისათვის. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2000 წლის ივლისის თვეში (ბრიტანეთისა და აშშ-ს მხარეების ხელშეწყობით) გაერთიანებულ სამხედრო აკადემიაში დაიწყო ინგლისური ენის შემსწავლელი ჯგუფის ფუნქციონირება (მომავალში გადაიქცევა ცენტრად), რომლის ერთ-ერთი მთავარი ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ ამ კურსის მსმენელები სწავლების პროცესში გამოთავისუფლებულნი არიან სამხედრო სამსახურიდან (ამ პრინციპს წარმატებით იყენებენ მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის დიდ ბრიტანეთში ქ. ბეკონსფილდის თავდაცვის ენების შემსწავლელ ცენტრში).

ასევე, მომავალი წლისათვის პრაქტიკულად განხორციელდება ბრიტანეთისა და საქართველოს საზღვაო ქვეითთა ქვედანაყოფების „დაძმობილების" (affiliation, twinning) საკითხი პრაქტიკული თანამშრომლობის განვითარების კუთხით, ხოლო რაც შეეხება სხვადასხვა სახის სემინარებში მონაწილეობას, ბრიტანელების მიერ დაგეგმილ თითქმის ყველა სემინარში საქართველოსათვის გამოგზავნილ იქნა მოწვევები, რომლებიც მთლიანად დაფინანსდა იყო მათ მიერ.

2000 წელი მნიშვნელოვანი იყო იმ კუთხითაც, რომ 2001 სასწავლო წლისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის პირველად გამოიყო ადგილი თავდაცვითი საკითხების შემსწავლელ სამეფო კოლეჯში (Royal College of Defence Studies).

საქართველო - საბერძნეთის რესპუბლიკა

დღეისათვის საქართველოსა და საბერძნეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროებს შორის სამხედრო სფეროში სამართლებრივ ბაზას ქმნის უწყებების მიერ ხელმოწერილი რამოდენიმე დოკუმენტი, რომელთაგან აღსანიშნავია სამთავრობათა შორისი „შეთანხმება თავდაცვის სფეროში", „შეთანხმება სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ", „ოქმი საბერძნეთის რესპუბლიკის სამხედრო სასწავლებლებში ქართველი სტუდენტების სტიპენდიებით უზრუნველყოფის შესახებ". აგრეთვე, თანამშრომლობის ძირითადი ასპექტები განისაზღვრება ყოველწლიური ორმხრივი თანამშრომლობის გეგმებით.

ორ ქვეყანას შორის 1997 წელს წარმატებით დაწყებულმა ურთიერთობებმა სამხედრო სფეროში, სამწუხაროდ, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ვერ ჰპოვა ის განვითარება, რომელსაც ისახავდა როგორც ქართული, ასევე ბერძნული მხარე. ამის პირველად მიზეზად გვევლინება საქართველოს შეიარაღებული ძალების ფინანსური სიდუხჭირე, რის გამოც ბოლო სამი წლის მანძილზე ხელმოწერილი სამხედრო თანამშრომლობის პროგრამებში გათვალისწინებულ დიდ ნაწილ ღონისძიებებში ქართულმა მხარემ მონაწილეობა ვერ მიიღო, რაც არანაირად არ ამცირებს იმ მნიშვნელობას, რომელსაც ჩვენ მათ ვანიჭებთ.

მიუხედავად ამისა, საქართველოსა და საბერძნეთს შორის სამხედრო თანამშრომლობა ვითარდება დინამიურად, რომლის საფუძველსაც ქმნის ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციული კეთილმეგობრული ურთიერთობები.

საქართველოსა და საბერძნეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროებს შორის ურთიერთობებში პრიორიტეტულია სამხედრო-საზღვაო ძალებს შორის თანამშრომლობა, რომლის ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინებაა საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებისათვის ორი საპატრულო კატარღის გადმოცემა (1998 წელს - „ივერია", ხოლო 1999 წელს - „მესტია").

უნდა აღინიშნოს ის დახმარებაც, რომელსაც ბერძნული მხარე უწევს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს სამხედრო კადრების მომზადების სფეროში. ჯერ კიდევ 1997 წელს საბერძნეთის რესპუბლიკის სამხედრო-სასწავლო დაწესებულებებში სასწავლებლად გაიგზავნა 3 ქართველი სამხედრო მოსამსახურე, 1998 წელს - 10 კადეტი, 1999 წელს გაეგზავნა კიდევ 12 ქართველი სამხედრო მოსამსახურე რომელთაც 2000 წელს შეემატა კიდევ 10 სამხედრო მოსამსახურე.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება საქართველოდან წარგზავნილი კურსანტების ბერძნული ენის არადამაკმაყოფილებელი ცოდნა, რისი მთავარი მიზეზიც არის მათი საბერძნეთში წარგზავნის დროს მათი ენის ცოდნის ნულოვანი დონე.

აქედან გამომდინარე, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მიესალმება საბერძნეთის ინიციატივას ბერძნული ენის კაბინეტის შექმნის შესახებ ფოთში არსებული სამხედრო ლიცეუმის ბაზაზე. ბერძნულმა მხარემ გამოთქვა მზადყოფნა ფოთის სამხედრო ლიცეუმში ბერძნული ენის ლაბორატორიის მოწყობაზე, ხოლო შემდგომ შესაძლებელია ბერძნულმა მხარემ ლიცეუმზე აიღოს სრული შეფობა (შესაძლებელია შემდგომში საბერძნეთიდან ინსტრუქტორის მოვლინებაც, რომელიც პერმანენტულად იმუშავებს ხსენებულ ლიცეუმში).

ამავე წელს შედგა მაღალი რანგის ვიზიტები საბერძნეთში, რამაც კიდევ უფრო გაალრმავა ჩვენს შორის არსებული ურთიერთობები. კერძოდ, გენერალ-ლეიტენანტ ჯ. ფირცხალაშვილის ვიზიტისას (16-20 დეკემბერი), ბერძნულმა მხარემ გამოთქვა მზადყონა ბერძნული ხომალდების სათადარიგო ნაწილებით მომარაგებასა და ადგილზე ექსპერტ-ინჟინრის გამოგზავნაზე.

საქართველო - ჩეხეთის რესპუბლიკა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ჩეხეთის რესპუბლიკასთან სამხედრო სფეროში ურთიერთობების მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნია, მიმდინარე წელი არ გამოირჩეოდა ურთიერთობების გააქტიურებითა და გაღრმავებით.

2000 წელს ჩეხეთის რესპუბლიკასთან თანამშრომლობის კუთხით საყურადღებოა შემდეგი ღონისძიებები:

· ა.წ. 23-25 ოქტომბერს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ჩეხეთის რესპუბლიკაში გამართულ საერთაშორისო სამხედრო გამოფენაში „ნატო-ს საბრძოლო და პირადი შემადგენლობის აღჭურვილობა 2000". აღნიშნულ გამოფენაში მონაწილეობის მიღება დიდ მიღწევად და ქართული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის აღიარებად შეიძლება ჩაითვალოს, რადგანაც გამოფენაზე მონაწილეობას იღებდნენ მხოლოდ ნატო-ს წევრი სახელმწიფოები და გამონაკლისს წარმოადგენდა საქართველო.

· 1-3 ნოემბერს საქართველოში შედგა ჩეხეთის რესპუბლიკის წარმომადგენლობითი დელეგაციის ვიზიტი რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, ი. ნოვოტნი და ფირმა „THOMAS CZ a. s."-ს პრეზიდენტი, ი. ტომეში.

· 1999 წლის ივნისის თვეში ჩეხურ ფირმა „THOMAS CZ. a.s."-თან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ა.წ. ოქტომბრის თვეში, საქართველოში შემოვიდა T-55AM2 ტიპის ტანკები და მისი სათადარიგო ნაწილები.

საქართველო - იტალიის რესპუბლიკა

საქართველოსა და იტალიის რესპუბლიკას შორის სამხედრო სფეროში აქტიური თანამშრომლობა დაიწყო 1997 წელს „საქართველოს მთავრობასა და იტალიის რესპუბლიკის მთავრობას შორის თავდაცვის სფეროში შეთანხმების" ხელმოწერის საფუძველზე.

მიმდინარე წელს იტალიასთან თანამშრომლობა არ გამოირჩეოდა დიდი ინტენსივობით, მიუხედავად იმისა, რომ 2000 წლის თანამშრომლობის გეგმა შეიცავდა საკმაოდ პერსპექტიულ წინადადებებს.

სამწუხაროდ, ორმხრივი თანამშრომლობის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები არ იქნა შესრულდა თავადაცვის სამინისტროს ფინანსური სიძნელეების გამო. ჩვენს მიერ დაყენებულ იქნა საკითხი, რომ მომავალი სასწავლო კურსების (საბრძოლო მყვინთავები, საბრძოლო მცურავები, სამთო მსროლელები და ა.შ.) მგზავრობის ხარჯები ანაზღაურდა იტალიის მხარის მიერ. აღნიშნული და კიდევ სხვა საკითხების მოგვარებას ხელს შეუწყობს მომავალ წელს იტალიის სამხედრო ატაშეს ოფისის გახსნა საქართველოში.

იტალიის მხარის ინიციატივით, მომავალი წლისათვის გადაიდო იტალიის სამთო ნაწილთა ვიზიტი ეროვნული გვარდიის საჩხერის სამთო მსროლელთა ბატალიონში ერთობლივი წვრთნების ჩასატარებლად.

სამხედრო-სამრეწველო სფეროში საქართველოსა და იტალიას შორის მომზადებულია ხელშეკრულების პროექტი, რომელსაც ხელი მოეწერება, სავარაუდოდ 2001 წელს. ეს ხელშეკრულება ინიცირებულ იყო იტალიის დაინტერესებით საქართველოსთან სამხედრო-სამრეწველო სფეროში თანამშრომლობით, რასაც წინ უსწრებდა 26-31 მარტს იტალიაში თავდაცვის მინისტრის მოადგილის, გ. ქათამაძის, ხოლო შემდგომ 18-20 აპრილს საქართველოში იტალიური კომპანია „Marconi Communications-"-ის და იტალიის თავდაცვის სამინისტროს ეროვნული და საერთაშორისო შეიარაღების დეპარტამენტის წარმომადგენელთა ვიზიტები.

საქართველოში იტალიური კომპანიის წარმომადგენლების ვიზიტისას ხელი მოეწერა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, თბილისის ელექტრონული ტექნოლოგიების ინსტიტუტსა და იტალიური კომპანია "Marconi Communications"-ის შორის შეხვედრის ოქმს. აღნიშნული ოქმის მიხედვით, საქართველოს მხარეს უსასყიდლოდ, ერთი წლის ვადით დროებით სარგებლობაში გადმოეცა 50.000 აშშ დოლარის ღირებულების ციფრული სატელეკომუნიკაციო აპარატურა.

საქართველო - საფრანგეთი

საფრანგეთის მზარდმა ინტერესმა, რაც 2000 წელს გამოიხატა საფრანგეთის რესპუბლიკის საელჩოში ატაშეს ოფისის გახსნით, ახალი სტიმული მისცა ორ ქვეყანას შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობას.

2000 წლის განმავლობაში საფრანგეთის რესპუბლიკასთან ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად კვლავ რჩება ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა განათლების მიღება საფრანგეთის სამხედრო-სასწავლო დაწესებულებებში. მიმდინარე წელს ჟანდარმერიის აკადემიაში გაიგზავნა 2 ქართველი ოფიცერი, ხოლო მომავალ წელს დაგეგმილია საფრანგეთის სხვადასხვა სამხედრო სასწავლებელში ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა სასწავლო მივლინებები.

გაერთიანებულ სამხედრო აკადემიაში ფუნქციონირებს ფრანგული ენის შემსწავლელი კაბინეტი, რომელიც მთლიანად მოწყობილ იქნა საფრანგეთის მიერ. 2000 წელს ინტენსიურად მიმდინარეობდა საფრანგეთის საელჩოს მიერ ორგანიზებულ კურსებზე „ალას ფრანცეზე" თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელთათვის ფრანგული ენის შემსწავლელი კურსები (აღნიშნული კურსები გაგრძელდება 2001 წელსაც).

მოეწყო 1999 წელს ფრანგული მხარის მიერ უსასყიდლოდ გადმოცემული სამხედრო-საველე ჰოსპიტლის საზეიმო გახსნა ქ. თელავში.

ივნისსა და სექტემბრის თვეებში საქართველოს პორტებში შედგა, უკვე ტრადიციად ქცეული, საფრანგეთის საპატრულო ხომალდების ვიზიტები.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ 1999 წელს საფრანგეთში საქართველოს თავდაცვის მინისტრის ვიზიტისას „ტომპსონ-კომუნიკაციონთან" ხელმოწერილი კონტრაქტი თავდაცვის სამინისტროსათვის სატელეკომუნიკაციო და რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებების მოწოდების შესახებ, რომლის რეალიზაცია ვერ მოხდა თავდაცვის სამინისტროს მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო.

აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის ქვეყნები

საქართველო - უკრაინა

საქართველოსა და უკრაინას შორის სამხედრო სფეროში დღემდე ხელმოწერილია 20 სხვადასხვა სახის დოკუმენტი. აღსანიშნავია, რომ ასეთი მყარი და ყოვლისმომცველი სამართლებრივი ბაზა ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობის სფეროში, საქართველოს არ გააჩნია არცერთ სხვა სახელმწიფოსთან. თანამშრომლობა წარმოებს ყოველწლიურად შემუშავებული ორმხრივი გეგმების თანახმად. მაგრამ, ამჟამად თავდაცვის სამინისტროში შექმნილი მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო მრავალი პროგრამის რეალიზაცია კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ასე მაგალითად: 2000 წლის თანამშრომლობის გეგმით გათვალისწინებული 9 ღონისძიებიდან შესრულდა მხოლოდ 2 ღონისძიება. კერძოდ, საქართველოში:

· 19-21 აპრილი - უკრაინის გენერალური შტაბის უფროსის ვიზიტი;

უკრაინაში:

· 25-29 დეკემბერი - მოლაპარაკებები უკრაინის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-სასწავლო დაწესებულებებში საქართველოს სამხედრო მოსამსახურეთა მომზადების გაფართოების მიზნით.

· თანამშრომლობის გეგმის ფარგლებს გარეთ კი, ა.წ. 26 ივნისს - 3 ივლისს, შედგა საქართველოს თავდაცვის მინისტრის ოფიციალური ვიზიტი უკრაინაში.

თანამშრომლობის სფეროების კიდევ უფრო განვრცობისა და გაღრმავების მიზნით, ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა და უკრაინულ მხარეს ოფიციალურად გადაეცა შეთანხმების პროექტი „საქართველოსა და უკრაინას შორის საიდუმლო ინფორმაციის ურთიერთდაცვის შესახებ". აღნიშნული შეთანხმება სრულფასოვანს გახდის არა მარტო თავდაცვის სფეროში თანამშრომლობას, არამედ კიდევ უფრო გააღრმავებს სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას.

მასზე ხელმოწერა ქართულ მხარეს ნავარაუდევი ჰქონდა ა.წ. მარტის თვეში, როდესაც შედგა უკრაინის პრეზიდენტისა და თავდაცვის მინისტრის ვიზიტი საქართველოში, მაგრამ უკრაინაში მიმდინარე სტრუქტურული რეორგანიზაციის გამო იმ ეტაპზე უკრაინულმა მხარემ თავი შეიკავა ხელმოწერისაგან.

ამასთანავე, შემუშავების პროცესშია შეთანხმებები საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და უკრაინის თავდაცვის სამინისტროს შორის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სფეროში თანამშრომლობისა და სამხედრო-საზღვაო ძალებს შორის თანამშრომლობის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტების საბოლოო შეთანხმება და მათი ხელმოწერა ქართულ მხარეს დაგეგმილი აქვს 2001 წელს, რაც აისახა კიდეც ჩვენს მიერ მიწოდებულ 2001 წლის თანამშრომლობის გეგმის პროექტში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს საქართველოსა და უკრაინას შორის სამხედრო-ტექნიკურ სფეროში ჩამოყალიბებული თანამშრომლობა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და უკრაინის სახელმწიფო კომპანია „უკრსპეცექსპორტ"-ს შორის არსებული ურთიერთობები, რომელიც მეტად ნაყოფიერი გამოდგა საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის. ამ თანამშრომლობის შედეგად, ჩვენთვის გამოუყენებელი საავიაციო განადგურების საშუალებების რეალიზაციის საფუძველზე შემუშავდა სპეციალური პროგრამა, რომლის ღირებულებაც შეადგენდა 9 620 000 აშშ დოლარს და რომელთა მიხედვითაც ჩატარდა იქნა შემდეგი ღონისძიებები:

· შეძენილ იქნა სარაკეტო კატარღა „კონოტოპი".

· სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ "დელტა"-ს სამეცნიერო, საკონსტრუქტორო და უტილიზაციის პროგრამების შესასრულებლად გამოეყო 300 000 აშშ დოლარი.

· ქ. სევასტოპოლის საავიაციო-სარემონტო ქარხანაში კაპიტალური რემონტი უტარდება საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების კუთვნილ 7 ერთ. ვერტმფრენს (3 ერთ. "მი-24", 2 ერთ. "მი-14", 2 ერთ. "მი-2").

· ასევე კაპიტალური რემონტი უტარდება საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების კუთვნილ 4 სამხედრო კატარღას.

ძალზედ საინტერესოა თანამშრომლობა საჰაერო თავდაცვის სფეროში. მიმდინარე წლის 26 ივნისს - 3 ივლისს, საქართველოს თავდაცვის მინისტრის უკრაინაში ოფიციალური ვიზიტის დროს უკრაინის თავდაცვის მინისტრთან შეხვედრისას დღის წესრიგში დადგა აღნიშნული საკითხი. თემის განხილვისას უკრაინულმა მხარემ გამოთქვა მზადყოფნა, გაუწიოს საქართველოს ყოველმხრივი დახმარება უკრაინელი სპეციალისტების მიერ საქართველოს საჰაერო სისტემის ადგილზე შესწავლა-შეფასებასა და ქართველ სპეციალისტებთან ერთად მისი მოდერნიზაციისათვის აუცილებელი სამუშაოების განსაზღვრაში.

სისტემის მოდერნიზაციის შემდგომი ეტაპი დაკავშირებულია საჭირო ტექნიკის გადმოცემასთან, რისი განხორციელებისთვისაც უკრაინული მხარე შესაძლებლად მიიჩნევს ამ პროცესში უკრაინული და ქართული მხარეების ერთობლივი თხოვნის საფუძველზე ამერიკული მხარის ჩართვას. აღსანიშნავია, რომ ა.წ. 21-22 ივნისს ამერიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილის, ბატონ უორნერის საქართველოში ოფიციალური ვიზიტის დროს შედგა ამ საკითხთან დაკავშირებული წინასწარი მოლაპარაკებები და ამერიკულმა მხარემ გამოთქვა მზადყოფნა, განიხილოს აღნიშნული საკითხი.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს წინაშე მდგარი პრობლემებიდან ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია კადრების მომზადების საკითხი, ამდენად, ორ ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს კადრების მომზადება. დღემდე უკრაინის სამხედრო-სასწავლო დაწესებულებებში სწავლება გაიარა 22 ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ, ხოლო დღეისათვის სწავლობს 84 ქართველი

ოფიცერი (დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე).

ამასთანავე, უკრაინის სამხედრო-სასწავლო დაწესებულებების შესაძლებლობების მაქსიმალურად ათვისების მიზნით, ამჟამად განხილვის პროცესშია კადრების მომზადების შესაძლებლობა სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის სფეროში და ქართველი მფრინავებისა და სამხედრო-საჰაერო ძალების სხვა რგოლის ოფიცრების გადამზადება.

საქართველო - ლიტვა

ბალტიისპირეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის განვითარება მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნებმა თავდაცვის სისტემის ფორმირების სფეროში წარმატებით გადალახეს პოსტსაბჭოთა სისტემის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ყველა ის სიძნელე, რომლის გავლაც დღეს ჩვენ გვიწევს. ამ კონტექსტში, 2000 წელს მიღწეული წარმატებებიდან მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ლიტვასთან და ესტონეთთან თანამშრომლობის დაწყებას.

დღეისათვის საქართველოსა და ლიტვის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროებს შორის არ არსებობს არცერთი იურიდიული დოკუმენტი, რომელიც მოგვცემდა რეალურ საფუძველს ორ ქვეყანას შორის მჭიდრო ურთიერთობების დასამყარებლად სამხედრო სფეროში.

ორ ქვეყანას შორის სამხედრო ურთიერთობები დაიწყო 2000 წელს, როდესაც 24-26 აპრილს ლიტვის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, ბატონი გ. ქათამაძე. ამ ვიზიტის განმავლობაში განიხილეს შემდეგი საკითხები:

- ლიტვის გამოცდილების გაზიარება სამშვიდობო ბატალიონის შექმნაში;
- შეიარაღებული ძალების ევროპულ სტანდარტებზე გადაყვანა;
- საჰაერო სივრცის კონტროლისა და საჰაერო თავდაცვის სისტემის ჩამოყალიბება;
- რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა და ამასთან დაკავშირებული ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრა;
- მონაწილეობა პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ და პარტნიორობის დაგეგმარებისა და ანალიზის პროცესში (პარპ).

გამართულ შეხვედრებზე ნათლად გამოჩნდა ლიტვის მხარის დაინტერესება საქართველოსთან სამხედრო თანამშრომლობის განვითარებაში და მათ აღგვითქვეს თავისი დახმარება ზემოაღნიშნულ საკითხებში, რაც დადასტურდა მიმდინარე წლის 10-12 ივლისის ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის, ალგირდას საუდარგასის საქართველოში ვიზიტის განმავლობაში. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრის განმავლობაში მან დაადასტურა ლიტვის მზადყოფნა საქართველოს გაუზიაროს გამოცდილება და გაუწიოს დახმარება ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

ამ ვიზიტის განმავლობაში მხარეები შეთანხმდნენ, რომ მომავალში ხელი მოეწერება ორი ქვეყნის თავდაცვის სამინისტროებს შორის შეთანხმებას სამხედრო სფეროში თანამშრომლობაზე. ამჟამად, ორმხრივი კონსულტაციების შემდეგ მზად არის ზემოაღნიშნული შეთანხმების პროექტი, რომელზედაც ხელმოწერა შედგება ლიტვაში 2001 წლის თებერვალში საქართველოს თავდაცვის მინისტრის, გენერალ-ლეიტენანტ დ. თევზაძის ოფიციალური ვიზიტისას.

რაც შეეხება სამხედრო განათლებას, ლიტვის რესპუბლიკას ამ სფეროში გააჩნია უდიდესი გამოცდილება საბჭოურიდან დასავლური სამხედრო განათლების სისტემაზე გადასვლის საქმეში. ჩვენ ვცდილობთ ამ დაგროვებული გამოცდილების გაცნობას, შესწავლასა და საქართველოს მოთხოვნებთან მიახლოებას. ა.წ. ივლისის თვეში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი ვიზიტით იმყოფებოდა ლიტვის რესპუბლიკაში, სადაც ადგილზე გაეცნო იქ არსებულ სერჟანტთა მომზადების სისტემას.

დღესდღეობით საქართველო-ლიტვის სამხედრო ურთიერთობათა პერსპექტიულ მიმართულებებს შესაძლოა წარმოადგენდეს:

- შეიარაღებული ძალების საბჭოური მოწყობის სისტემიდან ნატო-ს სტანდარტებზე გადაყვანა.
- ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციისა და სამხედრო დოქტრინის ჩამოყალიბება პოსტსაბჭოურ პერიოდში.
- სამხედრო კადრების მომზადების სისტემა და პრინციპები.
- სამხედრო კადრების გამოთავისუფლებასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.

საქართველო - ესტონეთი

ისევე როგორც ლიტვასთან, დღეისათვის საქართველოსა და ესტონეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროებს შორის არ არსებობს არცერთი ხელმოწერილი იურიდიული დოკუმენტი.

მიუხედავად ამისა, მხარეები გამოთქვამენ დიდ დაინტერესებას სამხედრო სფეროში თანამშრომლობის დასამყარებლად. ამის ნათელი მაგალითია მიმდინარე წლის 14-17 ნოემბერს

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი ტალინში, სადაც ორმხრივი თანამშრომლობის საკითხების პარალელურად განხილულ და ხელმოსაწერად შეჯერებულ იქნა შეთანხმების პროექტი სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ. აღნიშნულ შეთანხმებას ხელი მოეწერება ესტონეთის თავდაცვის მინისტრის ვიზიტისას საქართველოში 2001 წლის აპრილის თვეში.

ვიზიტის განმავლობაში ბრიტანეთის ელჩის რეზიდენციაში მოწყობილ ბრიტანეთის, საქართველოსა და ესტონეთის სამმხრივ სემინარზე გაიმართა აზრთა გაცვლა ზოგადად თავდაცვის სისტემის მოდერნიზაციაზე პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. ბრიტანელმა და ესტონელმა კოლეგებმა ისაუბრეს აღნიშნული მოდერნიზაციის ძირითად მამოძრავებელ ელემენტებზე, რომლებიც, მათი აზრით, მდგომარეობს შემდეგში: დემოკრატიული კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე; პროფესიონალი სამოქალაქო კადრის მოზიდვა თავდაცვის ფართო სპექტრზე სამუშაოდ და ადექვატური თავდაცვის ბიუჯეტის მიღება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შეიქმნა იმისი პრეცედენტი, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ორი ქვეყნის სამხედრო თანამშრომლობას აფინანსებს მესამე მხარე ე.წ. „Third Party Funding“-ის ფარგლებში. ბრიტანეთის მხარის განცხადებით, ნებისმიერი ინიციატივა, რომელიც მიმართული იქნება ორმხრივი თანამშრომლობის განვითარებისაკენ, დაფინანსდა მათ მიერ.

ესტონეთი მზადაა საქართველოს გაუწიოს კონსულტაციები და გაუზიაროს თავისი გამოცდილება დაკავშირებული რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის პროცესთან.

ესტონეთის მოდერნიზებულ გენ. შტაბის ქვედანაყოფებში შესაძლებელია ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა სტაჟირება 2-3 თვით. შესათანხმებელია კონკრეტული პირობები და ვადები.

ზემოაღნიშნულ ვიზიტს წინ უძღოდა მიმდინარე წლის 17-21 იანვარს საქართველოსა და ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროების წარმომადგენელთა შორის გამართული კონსულტაციები, რომლებზეც ესტონეთის მხრიდან ნათლად გაიჟღერა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით დაინტერესებამ და რომლის შემდეგაც შედგა პირველი კონტაქტი საქართველოსა და ესტონეთის თავდაცვის უწყებებს შორის საქართველოში ესტონეთის დელეგაციის ვიზიტისას 2000 წლის 14-20 ივლისს.

საქართველო - რუმინეთი

მიუხედავად 1997 წელს ნატო-ს მადრიდის სამიტზე რუმინეთის წარუმატებელი ცდისა გაწევრიანებულიყო ნატო-ში, პოსტკომუნისტურ სივრცეში რუმინეთი მაინც ითვლება ყველაზე უფრო პერსპექტიულ ქვეყნად, რომელმაც ნატო-ს მოთხოვნების მიხედვით უკვე გარდაქმნა თავისი შეიარაღებული ძალები ნატო-ს სტანდარტების შესაბამისად. ამდენად, საქართველოსათვის რუმინეთთან თანამშრომლობას სამხედრო სფეროში ერთ-ერთი პრიორიტეტული ადგილი უნდა დაეთმოს.

2000 წელი რუმინეთთან თანამშრომლობის თვალსაზრისით საკმაოდ ნაყოფიერად შეიძლება ჩაითვალოს. 1-4 თებერვალს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია, თავდაცვის მინისტრის ხელმძღვანელობით, რუმინეთის სახელმწიფო მინისტრის - ეროვნული თავდაცვის მინისტრის, ვ. ბაბიუკის მიწვევით ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა რუმინეთში. რუმინეთის ეროვნული თავდაცვის მინისტრთან შეხვედრისას, გამოიკვეთა ჩვენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განვითარების რამოდენიმე პრიორიტეტული მიმართულება. კერძოდ, აღსანიშნავია ჩვენი წინადადება, რომელიც შეეხებოდა სამთო მსროლელთა ერთობლივი საწვრთნელი ცენტრის ან ერთობლივი შენაერთის შექმნას. მხარეები შეთანხმდნენ, რომ პირველ ეტაპზე საქართველოში ჩამოვა სამთო მსროლელთა შენაერთი, რომელიც ერთობლივ წვრთნას გაივლის ქართულ ანალოგიურ შენაერთთან ერთად. მხარეებმა ასევე აუცილებლად ჩათვალეს ორი შეთანხმების, „საქართველოსა და რუმინეთს შორის გაცვლილი გასაიდუმლოებული ინფორმაციის ურთიერთდაცვის შესახებ“ და „საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და რუმინეთის მთავრობას შორის სამხედრო-ტექნიკურ სფეროში თანამშრომლობის შესახებ“, დროული ხელმოწერა. აქვე აღსანიშნავია, რომ პირველი შეთანხმება უკვე ვიზირებულია მხარეთა ექსპერტების მიერ.

რუმინეთის ეროვნულმა თავდაცვის სამინისტრომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს უსასყიდლოდ გადმოსცა სამხედრო-საველე ფორმის 10 000 კომპლექტი, რომელიც საქართველოს მხარემ 2000 წლის მე-2 კვარტალში მიიღო. ასევე მიღებული იყო გადაწყვეტილება საქართველოსათვის სამხედრო კატარღის გადმოცემის თაობაზე, რომელიც საჭიროებდა განკონსერვირებასა და დოკირებასთან დაკავშირებული ფინანსური საკითხის უზრუნველყოფას.

19-21 სექტემბერს საქართველოში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა რუმინეთის ეროვნული თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია, რუმინეთის სახელმწიფო მდივნის, თავდაცვითი პოლიტიკისა

და პარლამენტთან ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორის - ბატონ პლინგუს ხელმძღვანელობით.

მიმდინარე წელს ორმა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს დახმარებით გაიარა არმიის ბრიგადისა და გაერთიანებული ჯარების სახეობათა კურსები რუმინეთის რეგიონალურ პარტნიორობა მშვიდობისათვის საწვრთნელ ცენტრში. აღნიშნული კურსები შექმნილია ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს დახმარებით და წარმოადგენს ბრიტანული დოქტრინისა და საშტაბო პროცედურების მიხედვით შექმნილ ინტენსიურ სასწავლო კურსებს.

საქართველო - ჩინეთი

საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობას საფუძველი ჩაეყარა საქართველოს თავდაცვის მინისტრის, გენერალ-ლეიტენანტ დ. თევზაძის 1999 წლის 24-31 აგვისტოს ოფიციალური ვიზიტით.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩინეთის თავდაცვის სამინისტროსთან სამხედრო და სამხედრო-ტექნიკურ სფეროში თანამშრომლობის შემდეგ საკითხებს:

- საქართველოს შეიარაღებული ძალების უზრუნველყოფა სხვადასხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;
- ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან ინვესტიციების მოზიდვით, ლიცენზიურ საფუძველზე სამხედრო პროდუქციის წარმოება;
- ქართველი სამხედრო კადრების მომზადება ჩინეთის სამხედრო სასწავლებლებში.

აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულებების რეალიზების მიზნით, მიმდინარე წლის 23 მარტიდან 2 აპრილის ჩათვლით საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჩრდილოეთის სამრეწველო კორპორაცია „ნორინკო"-ს ოფიციალური დელეგაცია. ვიზიტის მიზანი იყო საბრძოლო ტყვია-წამლის დამამზადებელი ერთობლივი საწარმოს საქართველოში გახსნისათვის საჭირო პრობლემატიკის განხილვა. საკითხის კომპლექსურმა შესწავლამ აჩვენა, რომ ქართულ მხარეს არ ძალუძს აღნიშნული საწარმოს მშენებლობის დაწყება ფინანსური პრობლემების გამო.

აღსანიშნავია ჩინეთის დაინტერესება ორ ქვეყანას შორის სამხედრო კადრების მომზადების სფეროში თანამშრომლობის განვითარებით. ჩინეთის სამხედრო ატაშეს ოფისმა განაცხადა, რომ ჩინეთის სამხედრო ხელმძღვანელობამ გამოთქვა სურვილი მოავლინოს ოფიცრები საქართველოში, სამთო მსროლელთა სპეციალობის გამოცდილების მისაღებად. აგრეთვე, გადაწყდა, რომ 2001 წლის მარტის თვიდან, ჩინეთის თავდაცვის სამინისტროს მიწვევის საფუძველზე, ჩინეთის უმაღლეს სამხედრო უნივერსიტეტში სწავლებას გაივლის საქართველოს შეიარაღებული ძალების ორი მაღალი რანგის ოფიცერი.

27 დეკემბერს პარაფირებულ იქნა „შეთანხმება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შორის უსასყიდლო დახმარების გადმოცემის შესახებ". შეთანხმების თანახმად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო უსასყიდლო დახმარების სახით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გადასცემს 1.500.000 (მილიონ ხუთასი ათასი) ჩინური იუანის (187.500 აშშ დოლარი) ღირებულების ზურგის სამსახურის დანიშნულების საქონელს.

საქართველო - ისრაელი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ისრაელის სახელმწიფოს თავდაცვის სამინისტროებს შორის კონკრეტული თანამშრომლობა დაიწყო საქართველოს თავდაცვის მინისტრის ვიზიტით ისრაელის სახელმწიფოში 1999 წლის 25-26 ივლისს. ამ ვიზიტისას განისაზღვრა ჩვენს ქვეყნებს შორის სამხედრო თანამშრომლობის ორი ძირითადი პრიორიტეტი:

· თანამშრომლობა სამხედრო მრეწველობის სფეროში;

· პირადი შემადგენლობის (პერსონალის) მომზადება ისრაელის სამხედრო-სასწავლო დაწესებულებებში.

რაც შეეხება სამხედრო მრეწველობის სფეროში თანამშრომლობის საკითხს. იგი ძირითადად ხორციელდება ისრაელის სამხედრო სამრეწველო კომპლექსის ერთ-ერთ უდიდეს წარმომადგენელ, ფირმა „რაფაელ"-თან და „ელბიტ"-თან მჭიდრო კოოპერაციის გზით.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ფირმა „რაფაელთან" 1999 წელს გააფორმა ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროსათვის C-2000 CCST (სამხედრო წვრთნების სიმულაციური კომპიუტერული სისტემები) შეძენის შესახებ, რომლის იმპლემენტაცია უნდა მომხდარიყო 2000 წელს. სამწუხაროდ, თავდაცვის სამინისტროს სეკვესტრირებული ბიუჯეტის გამო აღნიშნული კონტრაქტი არ შესრულდა. ისრაელის მხარის ინიციატივითა და რეკომენდაციებით, საქართველოს თავდაცვის სამინიტრომ თხოვნით მიმართა თურქეთის გენშტაბს, რათა 2001 წლის გრანტის პროექტში გაეთვალისწინებინათ სიმულაციური

სისტემების დანერგვის დაფინანსება. აღნიშნული საკითხი განხილვის სტადიაშია.

2000 წლის 14 მარტს შედგა კომპანია „ELBIT"-ის დელეგაციის ვიზიტი, რომელთა მიზანს წარმოადგენდა სამხედრო თვითმფრინავების მოდერნიზაციის საკითხში სიტუაციის ადგილზე შესწავლა. როგორც მათი პრეზენტაციიდან გახდა ცნობილი, მათ მიერ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოდერნიზებულ იქნა 2500 ვერტმფრენი და 500-ზე მეტი თვითმფრინავი.

რაც შეეხება „სუ" კლასის თვითმფრინავებს, მათი აღდგენა პრაქტიკულად ჯერ არ განუხორციელებიათ. „ელბიტ"-ის სურვილია, რომ პროგრამა „სუ"-ების მოდერნიზაციაზე პირველად განხორციელდეს საქართველოში, რადგანაც მათი განცხადებით, საქართველოს დიდი პოტენცია აქვს პროგრამის წარმატებით რეალიზებაში.

ისრაელი საქართველოს განიხილავს, როგორც სტრატეგიულ პარტნიორს, რის შესახებაც განცხადებები არაერთხელ გაკეთდა სხვადასხვა დონეზე. ჩვენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობაში დიდი ადგილი უნდა დაეთმოს სამხედრო თანამშრომლობის საკითხებს, რისი თეორიული საფუძველიც უკვე არსებობს, მაგრამ მათი პრაქტიკული განხორციელება დამოკიდებულია გარკვეულ ფინანსურ დანახარჯებთან. თავდაცვის სამინისტროს წინაშე მდგარი ფინანსური პრობლემები ხელს უშლის და საფრთხის წინაშე აყენებს ორი ქვეყნის სამხედრო უწყებებს შორის ურთიერთობებს.

საქართველო - რუსეთის ფედერაცია

2000 წელი საქართველო-რუსეთის ფედერაციას შორის ურთიერთობების თვალსაზრისით, შეიძლება ჩაითვალოს კარდინალური ცვლილებების წლად. თუმცაღა ამას საფუძველი 1999 წლის 17 ნოემბრის სტამბოლის სამიტზე, საქართველო რუსეთის ფედერაციის ერთობლივი განცხადების მიღების შედეგად ჩაეყარა.

აღნიშნული განცხადება წარმოადგენს „ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ" ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ასახავს საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მიერ ევროპის თანამეგობრობის წინაშე აღებულ ვალდებულებებს.

კერძოდ, განცხადების თანახმად, მხარეებმა ვალდებულება აიღეს:

1. რუსული მხარე 2000 წლის 31 დეკემბრამდე შეამცირებს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ მის კუთვნილ ხელშეკრულებით შეზღუდულ შეიარაღებასა და ტექნიკას (ხშშტ), ისე რომ მათი რაოდენობა არ აღემატებოდეს 153 ტანკს, 241 საბრძოლო ჯავშანმანქანას და 140 საარტილერიო სისტემას.

2. 2000 წლის 31 დეკემბრამდე რუსული მხარე მთლიანად გაიყვანს გუდაუთის, ვაზიანის ბაზებზე და თბილისის სარემონტო საწარმოებში განლაგებულ ხშშტ-ს.

3. 2001 წლის 1 ივლისამდე დაიშლება და გაყვანილ იქნება საქართველოს ტერიტორიიდან გუდაუთისა და ვაზიანის სამხედრო ბაზები. ამავე პერიოდში გადაწყდება ზემოაღნიშნულ ბაზებზე დარჩენილი ცალკეული ობიექტებისა და ინფრასტრუქტურის გამოყენების შესაძლებლობანი.

4. ქართული მხარე ვალდებულებას იღებს მისცეს რუსულ მხარეს ხშშტ-ს დროებითი განლაგების უფლება ბათუმისა და ახალქალაქის ბაზებზე.

5. 2000 წლის განმავლობაში მხარეები დაასრულებენ მოლაპარაკებებს ბათუმისა და ახალქალაქის სამხედრო ბაზებისა და საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული სხვა სამხედრო ობიექტების ფუნქციონირების პირობებისა და ვადების შესახებ.

სტამბოლის შეთანხმების იმპლემენტაციას მიეძღვნა საქართველო-რუსეთის მოლაპარაკებათა 5 რაუნდი და ექსპერტთა 13 სამუშაო შეხვედრა. 2000 წლის განმავლობაში წარმატებით განხორციელდა საქართველოს ტერიტორიიდან სამხედრო ტექნიკის გატანა და უტილიზება, სულ 491 ერთეული (მათ შორის: 59 ერთ. ტანკი, 403 ერთ. ჯავშანმანქანა და 29 ერთ. არტსისტემა). საქართველოს განკარგულებაში გადმოვიდა 7 სამხედრო ობიექტი, მათ შორის, „ნოვო ალექსეევკის" აეროდრომი (თვითმფრინავების სადგომი). დღესდღეობით საქართველოს ტერიტორიაზე დროებითი განლაგების პრინციპით რჩება: 72 ტანკი, 103 საბრძოლო ჯავშანმანქანა, 137 საარტილერიო სისტემა.

საქართველო-რუსეთს შორის მოლაპარაკებები გაგრძელდება მომავალ წელსაც, სადაც განიხილება დარჩენილი სამხედრო ობიექტების გადმოცემის საკითხები, ახალქალაქისა და ბათუმის სამხედრო ბაზების ფუნქციონირების პირობები და ვადები.

2000 წელს გამოიკვეთა რუსეთთან თანამშრომლობის სხვა მიმართულებებიც. კერძოდ, დღის წესრიგში დადგა საქართველოსა და რუსეთს შორის სამხედრო და/ან სამხედრო-ტექნიკურ სფეროში თანამშრომლობის ხელშეკრულების/ ხელშეკრულებების მომზადება. ასევე მიმდინარეობს 2001 წლისათვის ორმხრივი თანამშრომლობის გეგმის პროექტის შემუშავება.

საქართველოსა და საზღვარგარეთის თავდაცვის სამინისტროებს შორის 2000 წლისათვის ორმხრივი თანამშრომლობის გეგმების რეალიზაცია და მათი შეფასება

2000 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორმხრივი თანამშრომლობის გეგმები ხელმოწერილ ჰქონდა აშშ-სთან, თურქეთთან, გერმანიასთან, იტალიასთან, საბერძნეთთან, რუმინეთთან, უკრაინასთან და დიდ ბრიტანეთთან.

ორმხრივი თანამშრომლობის გეგმების შემუშავება ფაქტიურად ხდებოდა ამა თუ იმ ქვეყანასთან არსებული თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორმხრივი თანამშრომლობის გეგმების შემუშავება საშუალებას იძლევა, რათა თანამშრომლობას მიეცეს გეგმიური ხასიათი. აღსანიშნავია, რომ რიგი ქვეყნები (მაგ. საფრანგეთი) საერთოდ არ იყენებენ ორმხრივი გეგმების ხელმოწერის პრაქტიკას.

ორმხრივი თანამშრომლობის გეგმები წარმოადგენენ დინამიურ დოკუმენტს, რომელშიც სისტემატიურად ხდება შესწორებებისა და დამატებების შეტანა. მაგალითად, თურქეთთან დაგეგმილი გარკვეული რაოდენობის ღონისძიების მიუხედავად, რეალურად სიტუაციამ მოითხოვა, რომ ღონისძიებათა რიცხვი მნიშვნელოვნად გაზრდილიყო.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურმა კრიზისმა და შესაბამისად თავდაცვის სამინისტროს მძიმე ფინანსურმა მდგომარეობამ ხელი შეგვიშალა რიგი ღონისძიებების განხორციელებაში როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიებები ძირითადად ითვალისწინებდა ჩვენი სამხედრო დელეგაციების ვიზიტებს, რათა ადგილზე შეესწავლათ სხვადასხვა სფეროში მეგობარი ქვეყნების გამოცდილება. მიუხედავად არ შემდგარი ღონისძიებებისა, არანაირად არ შემცირდა პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობისადმი ინტერესი.

აღნიშნულმა მდგომარეობამ გამოიწვია ფინანსირების ახალი გზების ძიება, რამაც თავისი პრაქტიკული შედეგი უკვე გამოიღო სამმხრივი ფორმატით (საქართველო-ესტონეთი-დიდი ბრიტანეთი) ჩატარებულ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვიზიტისას, როდესაც მესამე მხარემ, ამ შემთხვევაში დიდმა ბრიტანეთმა "Third Party Funding"-ის ფარგლებში დააფინანსა საქართველოს დელეგაციის ვიზიტი.

ორმხრივი თანამშრომლობის გეგმებით გათვალისწინებული და შესრულებული ღონისძიებების

თანაფარდობა შემდეგ სურათს იძლევა:

ქვეყანა	დაგეგმილი ღონისძიებების რაოდენობა	შესრულებული ღონისძიებების რაოდენობა	რეალიზების კოეფიციენტი (%)
აშშ	80	80	100
თურქეთი	20	25	125
იტალია	13	1	7,8
საბერძნეთი	20	2	10
რუმინეთი	13	4	30,8
უკრაინა	9	2	22
დიდი ბრიტანეთი	17	9	53
გერმანია	12	11	91,7
სულ	184	134	72,8

თანამშრომლობის ახალი მიმართულებები

2000 წელს ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოების შემსწავლელ ცენტრთან ერთად თავდაცვის სამინისტროს უშუალო მონაწილეობით დაიგეგმა სემინარების სერია, რომელიც მიეძღვნა ეკონომიკური პოლიტიკის ასპექტებს ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის უზრუნველყოფაში:

1. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისადმი მიძღვნილი სემინარი (მარტი, აშშ);

2. თავდაცვის დაგეგმარებასა და ბიუჯეტისადმი მიძღვნილი სემინარი (სექტემბერი, გერმანია);

3. სიმულაციური თამაში - სემინარი, რომელიც მიეძღვნა ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურების ფორმირებასა და მათ ურთიერთთანამშრომლობას (ოქტომბერი, საქართველო).

ამჟამად მიდის აქტიური მუშაობა მეოთხე სემინარის დაგეგმვაზე, რომელიც, სავარაუდოდ, ჩატარდება 2001 წლის მაისის თვეში საქართველოში და მიეძღვნება კრიზისების მართვას.

თანამშრომლობა მარშალის ცენტრთან სემინარების დაგეგმარებისა და ჩატარების კუთხით არის სრულიად ახალი მიმართულება, რომლის პრაქტიკული შედეგი მდგომარეობს

იმაში, რომ შედგეს ერთგვარი ფორუმი, რათა საქართველოს სხვადასხვა სამსახურებისათვის გაიმართოს მსჯელობა დემოკრატიულ თავდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი კონცეფციის, სისტემისა და საკითხის გარშემო.

აღნიშნული სახის სემინარები საშუალებას იძლევა განხილულ იქნეს და შესაბამისად დაისახოს არსებული ეროვნული უსაფრთხოების სისტემებისა და პროცედურების გაუმჯობესების გზები, ისევე როგორც ეროვნულ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ უწყებებს შორის მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ გაიმართოს აზრთა გაცვლა.

ჯ. მარშალის ცენტრი საქართველოსათვის ორგანიზებულ სემინარებს განიხილავს როგორც საქართველოში და კონკრეტულად მის შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე რეფორმების მხარდაჭერას.

მიმდინარე წელს შეიქმნა ახალი ტიპის თანამშრომლობის ფორმატი. კერძოდ, ესტონეთში საქართველოს, ესტონეთისა და დიდი ბრიტანეთის მონაწილეობით გაიმართა სემინარი თემაზე "სამოქალაქო კონტროლი შეიარაღებულ ძალებში". შეიქმნა იმის პრეცედენტი, რომ აღმოსავლეთ ევროპის ორი ქვეყნის თანამშრომლობას აფინანსებს მესამე მხარე ე.წ. "Third Party Funding"-ის ფარგლებში. 2001 წლისათვის ანალოგიური ფორმატით თანამშრომლობის განვითარებას ვგეგმავთ სხვადასხვა ქვეყანასთან, მათ შორის: ლიტვასთან, ლატვიასთან, ჩეხეთთან, პოლონეთთან და სხვა.

მიმდინარე წლის 27 ნოემბერი - 15 დეკემბერს თავდაცვის მინისტრის მოადგილე მიიწვიეს იყო ჰარვარდის უნივერსიტეტის ეგიდით მიმდინარე „უკრაინის ეროვნული უსაფრთხოება"-ის პროგრამაში მონაწილეობის მისალებად (ბელგია, აშშ, დიდი ბრიტანეთი).

ვიზიტის მსვლელობისას შეხვედრები გაიმართა ნატო-ს გენერალურ მდივან რობერტსონთან, რომლის დროსაც ასევე განხილულ იქნა საქართველოს თემატიკაც. კერძოდ, ჩრდილო ატლანტიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ჩვენს ქვეყანას განიხილავს, როგორც პარტნიორსა და "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის ფარგლებში აქტიურად მონაწილე ქვეყანას, ამიტომაც საქართველოს მომავალშიც ექნება სრული მხარდაჭერა ნატო-საგან.

პენტაგონში ვიზიტისას გაიმართა გაცნობითი შეხვედრები თავდაცვის მდივნის მოადგილის თანაშემწე ჯეფრი სტართან. აშშ-ს კონგრესში ვიზიტისას კი დელეგაცია შეხვდა სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის (სენატორი ჯესი ჰელმსი) თანაშემწეს იან ბუეზინსკის (ზბიგნევ ბუეზინსკის შვილი). საქართველოსთან მიმართებაში ბუეზინსკიმ აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები მხარს უჭერს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებს, რომლის მხარდაჭერაც კვლავაც გაგრძელდება მომავალში და ამ მიზნით აშშ-ს სენატი გეგმავს დამატებითი სახსრების გამოყოფას. მისი განმარტებით საქართველო იმყოფება აშშ-ს სტრატეგიული ინტერესების სფეროში და აღნიშნა, რომ კონგრესი მზად არის ჩვენს ქვეყანას გაუწიოს დახმარება, როგორც შიდა ასევე საგარეო პოლიტიკის მიზნების განხორციელებაში.

ქ. ლონდონში დელეგაციის წევრებისათვის გაიმართა კონფერენცია სახელწოდებით „ევროპული უსაფრთხოება, ევროპული გაერთიანება - განვითარების პერსპექტივები". კონფერენციაზე განხილვის ძირითად თემას წარმოადგენდა ევროკავშირის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნული გაერთიანების ეგიდით ევროპაში სწრაფი რეაგირების ძალების ჩამოყალიბებას.

მომავალ წელს საქართველოსათვის კვლავ იქნება გამოყოფილი რამოდენიმე ადგილი ჰარვარდის პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

თანამშრომლობა ნატო-ს სტრუქტურებთან

სამხედრო სფეროში საქართველოსა და ნატო-ს შორის თანამშრომლობა ძირითადად ხორციელდება „პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამის" (PfP) ფარგლებში. 2000 წლის განმავლობაში საქართველო აქტიურად მონაწილეობდა PfP ღონისძიებებში. დაგეგმარების პროცესშია 2001 წელს საქართველოში მრავალეროვნული სამშვიდობო წვრთნების ჩატარება „კოოპერატივ პარტნერ 01".

აღნიშნული პროგრამის გარდა, მნიშვნელოვანია საქართველოს მონაწილეობა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს (EAPC) ეგიდით გამართულ ღონისძიებებში. 1999 წელს შექმნილმა „კავკასიის ღია სამუშაო" ჯგუფმა პრაქტიკულად ხორცი შეასხა რეგიონში ნდობისა და თანამშრომლობის პრაქტიკული ნაბიჯების ინიცირებას.

საქართველომ 2000 წლის 4-8 მარტს უმასპინძლა ნატო-ს „კრიზისების მართვის ჯგუფის" მაღალი დონის მისიას. ვიზიტისას შეხვედრები გაიმართა თავდაცვის სამინისტროში, სადაც ერთმნიშვნელოვნად გამოცხადდა, რომ კრიზისების მართვა, რომელშიც მსოფლიო საზოგადოებრიობამ უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა, რეგიონში სტაბილურობის უმთავრესი გარანტია.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2000 წლის 5-6

ივნისს თბილისში გაიმართა ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს (EAPC) ეკონომიკური დირექტორატის ერთ-ერთი სემინარი თემაზე: „თავდაცვის ბიუჯეტის ეკონომიკური ასპექტები გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში." საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან აღნიშნულ სემინარში მონაწილეობას იღებდნენ მაღალი რანგის თანამდებობის პირები, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტ ჯ. ფირცხალაიშვილის ხელმძღვანელობით.

სემინარზე მთავარ საკითხებად განიხილეს:

· სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკის განვითარება და მისი გავლენა თავდაცვასა და უსაფრთხოებაზე;

· გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკის გავლენა თავდაცვის ბიუჯეტზე;

· რეგიონალური თანამშრომლობის პერსპექტივები.

2000 წლის 9 ივნისს ბრიუსელში გაიმართა EAPC-ის ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრა (მინისტერიალი), სადაც სიტყვით გამოვიდა საქართველოს თავდაცვის მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი დ. თევზაძე. მან ისაუბრა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე რეფორმების შესახებ და აღნიშნა, რომ საქართველოს მონაწილეობა „დაგეგმვისა და ანალიზის პროცესში" წარმოადგენს საქართველოს შეიარაღებული ძალების ნატო-ს სტანდარტებთან მიახლოების საშუალებას და შესაძლებლობას გვაძლევს მონაწილეობა მივიღოთ ნატო-ს ეგიდით PFP-ის ფარგლებში განხორციელებულ ოპერაციებში.

2000 წლის 25-27 სექტემბერს საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა ნატო-ს გენერალური მდივანი, ლორდი ჯ. რობერტსონი. 26-27 სექტემბერს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში" ჩატარდა კონფერენცია თემაზე: „კავკასია დღეს: რეგიონალური თანამშრომლობისა და ნატო-სთან პარტნიორობის პერსპექტივები." კონფერენციის პირველ დღეს დაესწრო ლორდი რობერტსონი.

თბილისში 18-19 დეკემბერს ჩატარდა EAPC-ის „კავკასიის ღია სამუშაო ჯგუფის" ფარგლებში ეკონომიკური სახის სემინარი თემაზე „უსაფრთხოება და თავდაცვის ეკონომიკა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში". აღნიშნული სემინარი წარმოადგენდა ამიერკავკასიის ქვეყნების წარმომადგენელთა ფორუმს, რომელზედაც გაკეთდა განცხადება, რომ პოლიტიკური წინააღმდეგობა შესაძლოა გადალახულ იქნეს ეკონომიკური თანამშრომლობისა და კომპრომისების ფონზე.

აღსანიშნავია, რომ 2000 წელს გაიგზავნა საქართველოს სამხედრო წარმომადგენელი ნატო-ს შტაბბინაში სამუშაოდ.

სამხედრო ატაშატების ანბარიში

საქართველოს სამხედრო ატაშატი თურქეთში

საქართველოსა და თურქეთს შორის სამხედრო თანამშრომლობის წარმატებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს თურქეთში საქართველოს სამხედრო ატაშეს ოფისის არსებობა.

2000 წლის განმავლობაში ჩატარებულია შემდეგი სახის სამუშაოები:

· 20 იანვარს თურქეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში შედგა შეხვედრა თურქეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ზურგის მთავარი სამმართველოს უფროსს - გენერალ-პოლკოვნიკ ჰურშით თოლონთან.

· 23 იანვარს საქართველოს სამხედრო ატაშე მაიორი თ. კერესელიძე დაესწრო ედუარდ შევარდნაძის თურქეთ-საქართველოს მეგობრობისა და თანადგომის ფონდისა და საქართველოს საელჩოს მიერ მოწყობილ საღამოს.

· 2000 წლის გაზაფხულობაში ატაშატი აქტიურად ატარებდა მუშაობას საქართველოს ოცეულთან კოსოვოში. ქართული სამშვიდობო კონტინგენტის მონაწილეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე პერიოდულად იმართებოდა შეხვედრები როგორც თურქეთის გენშტაბში, ასევე აზერბაიჯანის სამხედრო ატაშატში (ცნობისათვის: ქართული და აზერბაიჯანული ოცეულები ერთად გადიან სამსახურს თურქულ ასეულში).

· საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის F-54 ტიპის საწვავის გამოყოფის შესახებ აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა თურქეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბისა და ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესაბამის სამსახურებს. რის შედეგადაც, 20.000 ტონა საწვავი ამა წლის 15-16 თებერვალს შემოვიდა ქ. ფოთის პორტში. საწვავის აღნიშნული რაოდენობიდან 2.000 ტონა (F-54) მიზნობრივად გამოყოფილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის.

· მიმდინარე წელი დატვირთული იყო ბლექსიფორ-ის ლონისძიებების მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების მხრივ. კერძოდ, გაიმართა შეხვედრები, თურქეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში, რომლის დროსაც საუბარი შეეხო ამა წლის 18-21 აპრილს ქ. სტამბოლში შავი ზღვის ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალთა

შეხვედრაზე შესაძლო განსახილველ საკითხებს.

· მიმდინარეობდა მუშაობა აშშ-ს ახალ სამხედრო ატაშესთან - ავიაციის პოლკოვნიკ დენის ლეე დანიელსონთან. მისი განცხადებით თურქეთის მხარეს აშშ-დან მიღებული აქვს ნებართვა, რათა საქართველოს მხარეს გადასცეს „„UH-1H" „ ტიპის ორი სამხედრო შვეულმფრენი.

· ატაშე შეხვდა და ესაუბრა თურქეთის რესპუბლიკაში ვიზიტად მყოფ საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავჯდომარეს - ნ. ბურჯანაძეს ორი ქვეყნის სამხედრო უწყებებს შორის არსებული თანამშრომლობის შესახებ.

· საქართველოს თავდაცვის მინისტრის გენერალ-ლეიტენანტ დ. თევზაძის 14-23 ოქტომბერს ქ. ანტალიაში ვიზიტისას ატაშატი აქტიურად მუშაობდა თურქეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბის უფროსთან, სახმელეთო ძალების სარდალთან, ეგეოსის ზღვის სარდალთან გამართულ სამუშაო შეხვედრების დროს.

· 24 ოქტომბერს თურქეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში შედგა შეხვედრა ზურგის სამმართველოს უფროსთან გენერალ-ლეიტენანტ უნალ ონსიპაჰიოღლუსთან. საუბარი შეეხო ამა წლის 17 ოქტომბერს მარნეულის აეროდრომის მოდერნიზაციის შესახებ ოქმის ხელმოწერის შემდეგ ზურგის დარგში განსახორციელებელ სამუშაოებს.

· 27 ოქტომბერს გენერალურ შტაბში გაიმართა შეხვედრა განათლების სამმართველოს უფროსთან გენერალ-ლეიტენანტ მელი თუნჯასთან. აღნიშნულ სამმართველოს დაევალა საქართველოსათვის კომპიუტერული ცენტრის მოწყობის საკითხის შესწავლა. შეხვედრისას აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია 2001 წლის გრანტში გათვალისწინებული იყოს საკითხი გაერთიანებულ სამხედრო აკადემიაში სასწავლო კომპიუტერული ცენტრის მოწყობის შესახებ.

· ჩატარდა მუშაობა NATO-ს შტაბბინაში საქართველოს წარმომადგენლობის დაფინანსებასთან დაკავშირებით.

· წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო სასწავლებლებში მოსწავლე საქართველოს სამხედრო პერსონალთან, რომლის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ადგილზე გადაწყვეტილიყო სასწავლებლების ხელმძღვანელობასთან მთელი რიგი საკითხები.

· საქართველოს სამხედრო ატაშატს 2000 წლის განმავლობაში რეგულარული ურთიერთობები ჰქონდა თურქეთის რესპუბლიკაში არსებული სხვა ქვეყნის სამხედრო ატაშატებთან.

საქართველოს სამხედრო ატაშატი უკრაინაში

საქართველოსა და უკრაინას შორის 1993 წლის 13 აპრილის „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ" ხელშეკრულების, „საქართველოს და უკრაინის თავდაცვის სამინისტროებს შორის სამხედრო თანამშრომლობის შესახებ" 1995 წლის 9 იანვრის შეთანხმების შემდეგ, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ორი ქვეყნის სამხედრო თანამშრომლობაში გახლდათ „შეთანხმება საქართველოსა და უკრაინის მთავრობებს შორის სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ", რომელიც რატიფიცირდა საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წლის 28 მაისს.

სწორედ ამ შეთანხმებისა და ხელშეკრულებების ბაზაზე აღმოცენდა საქართველოსა და უკრაინას შორის სამხედრო სფეროში ხელმოწერილი მთელი რიგი საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტებისა, რომელთა უმრავლესობაც ეფექტურად მოქმედებს.

უკრაინისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროებს შორის 2000 წლის ორმხრივი თანამშრომლობის გეგმის მთელი რიგი პუნქტებისა არ შესრულდა. კერძოდ, არ შესდგა სუუამ-ის ქვეყნების თავდაცვის მინისტრთა შეხვედრა თბილისში. ამ ღონისძიების ჩაუტარებლობის თავისებურ კომპენსაციად შეიძლება ჩაითვალოს სუუამ-ის ქვეყნების გენერალური (მთავარი) შტაბების უფროსების (პირველი) მოადგილეების 28.02.-05.03. კიევის შეხვედრა, რომელზეც განიხილეს უკრაინის თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის შეხედულებანი სუუამ-ის ქვეყნებთან სამხედრო თანამშრომლობის პერსპექტივაზე.

შეხვედრის ოქმში აისახა ყველა ის აქტუალური საკითხი, რაც სისხლხორცეულად აუცილებელია სუუამ-ის ქვეყნების შეიარაღებული ძალების ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაფართოება-გაღრმავებისათვის, სამხედრო მშენებლობის სფეროში გამოცდილების გაზიარებისათვის.

უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დელეგაციის გეგმიური ვიზიტი თბილისში უკრაინის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის-უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის გენერალ-პოლკოვნიკ ვ. შკიდჩენკოს ხელმძღვანელობით, რომელიც შედგა 2000 წლის 19-21 აპრილს, შედეგებით საკმაოდ პროდუქტიული იყო, რადგან დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ უკრაინის შეიარაღებული ძალების იმ სახეობების ხელმძღვანელები, რომლებითაც ამ ეტაპზე დაინტერესებული იყო ქართული მხარე.

სამუშაო შეხვედრა თბილისში ჰაერსა-

წინააღმდეგო დაცვის საკითხებში თანამშრომლობის შესახებ არ შედგა. უკრაინის მხარემ ვიზიტი რამოდენიმეჯერ გადასდო და ბოლოს 21.09.2000 წ. № 123/1130/II წერილით შემოგვთავაზა ვიზიტი 2001 წლის ორმხრივი თანამშრომლობის გეგმაში შეგვეტანა. ამავე წერილით, ანალოგიური ღონისძიების ჩატარება უკრაინაში მასპინძელი მხარის მიერ. საერთოდ გაუქმდა. უკრაინისვე მხარის წინადადებით 2001 წლის ორმხრივი თანამშრომლობის გეგმაშია გადატანილი სამუშაო შეხვედრები უკრაინაში სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების ხაზით.

დაგეგმილი ორმხრივი ვიზიტების განუხორციელებლობის და გადავადების მთელ რიგ მნიშვნელოვან ობიექტურ მიზეზთა შორის შეიძლება აღინიშნოს საბიუჯეტო-ეკონომიკური პრობლემებიც.

2000 წლის 26-30 ოქტომბერს შედგა უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი საქართველოში, უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარი სამხედრო ინსპექტორის არმიის გენერალი ვიტალი გრიგოლის ძე რადეცკის ხელმძღვანელობით. უკრაინის სამხედრო დელეგაციას ჰქონდა შეხვედრები საქართველოს თავდაცვის მინისტრთან, გენერალ-ლეიტენანტ დ. თევზაძესთან, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსთან, გენერალ-ლეიტენანტ ჯ. ფირცხალაიშვილთან, საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან, ბ-ნ გ. შულაროვთან, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ბ-ნ გ. ბარამიძესთან, საქართველოს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის კოლექტივთან. შეხვედრებს ლეიტმოტივად გასდევდა ორ ქვეყანას შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის კიდევ უფრო გაუმჯობესების თემატიკა.

2000 წლის 25-29 დეკემბერს უკრაინაში შედგა ვიზიტი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაციისა, თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის უფროსის გენერალ-ლეიტენანტ ო. ლეკვეიშვილის ხელმძღვანელობით. ვიზიტის მიზანი თავისი შინაარსით ეხებოდა უკრაინაში სამხედრო განათლების სისტემის გაცნობას და მოწინავე მეთოდების ჩვენი სამხედრო განათლების სისტემაში დანერგვას; უკრაინისა და საქართველოს სამხედრო აკადემიებს შორის მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას.

აღნიშნულ თემაზე იყო აგებული შეხვედრები უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის პირველ მოადგილესთან გენერალ-ლეიტენანტ ნ. პალჩუკთან, უკრაინის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო განათლების მთავარი სამმართველოს უფროსთან გენერალ-ლეიტენანტ ნ.ნეშჩადიმთან, ტ.შევჩენკოს სახელობის კიევის ეროვნული უნივერსიტეტის სამხედრო ინსტიტუტის უფროსთან გენერალ-მაიორ ს. ჟუკოვთან. ვიზიტი დროული და საჭირო იყო. მისი შედეგები აისახა 2000 წლის 28 დეკემბრის უკრაინის და საქართველოს თავდაცვის სამინისტროების სამუშაო ჯგუფების ერთობლივ ოქმში.

უკვე რამოდენიმე წელია დღის წესრიგში დგას და ორი ქვეყნის თავდაცვის სამინისტროებს შორის 2001 წლის ორმხრივი თანამშრომლობის გეგმაშია დაფიქსირებული სახელმწიფო საიდუმლოების ურთიერთდაცვის შესახებ შეთანხმების საკითხი, რაზეც სათანადო კონსულტაციები შესაბამის ინსტანციებში ჩატარებულია და უახლოეს მომავალში უნდა ველოდოთ მის საბოლოო დამტკიცებას.

ზემოთ ხსენებული შეთანხმება უკრაინის სამხედრო სასწავლებლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ წარგზავნილ მსმენელებს მისცემდა სწავლების პროცესთან დაკავშირებულ საიდუმლო მასალებთან მუშაობის საშუალებას.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლობამ უკრაინის სახელმწიფო კომპანია „უკრსპეცექსპორტ“-თან მნიშვნელოვანი შედეგები მოუტანა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს. ამ თანამშრომლობის შედეგად, ჩვენთვის გამოუყენებელი საავიაციო განადგურების საშუალების და რეალიზაციის საფუძველზე, შემუშავდა სპეციალური პროგრამა, რომელის მიხედვითაც გატარდა იქნა შემდეგი ღონისძიებანი: უკრაინაში შეძენილი იქნა და გარემონტდა სარაკეტო კატერი „კონოტოპი“ (დღევანდელი „თბილისი“ - ბორტი 302), იქვე სარემონტო სამუშაოები უტარდება საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების კიდევ სამ სამხედრო კატარღას. ერთი მათგანის სარემონტო სამუშაოებისათვის ჩარიცხულია საჭირო თანხა და იგი მწყობრში ჩადგება 2001 წლის 25 იანვარს. დანარჩენი ორის სათანადო დაფინანსების შემთხვევაში, მათი პრობლემებიც მოხსნილი იქნება 2001 წლის I კვარტლის ბოლოსათვის.

უკრაინაშივე მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების კუთვნილ შვიდ შვეულმფრენზე.

სარემონტო სამუშაოებისათვის გადახდილია 1,2 მლნ. აშშ დოლარი, გადასახდელია 1,6 მლნ. სწორედ დაფინანსებაში შექმნილმა პრობლემებმა გამოიწვია ის, რომ უკვე 1,5 წელიწადია ეს შვეულმფრენები სევასტოპოლის საავიაციო-სარემონტო ქარხნებში დგანან და მათი მწყობრში ჩაყენება ვერ მოხერხდა.

საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე განვითარებული მოვლენების ფონზე იქმნება აუცილებლობა იმისა, რომ სასწრაფოდ გატაწყდეს იქნეს შეეულმფრენების რემონტისათვის საჭირო დაფინანსების პრობლემები. აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის თვალსაზრისით საჭიროა მოიძებნოს რაიმე გამოსავალი, თუნდაც მთავრობათა შორის შეთანხმების საფუძველზე მოხდეს შვეულმფრენების რემონტის ღირებულების გადავადება, მოგვიანებით დაფარვა. ყოველივე ეს პირველ ეტაპზე მოგვცემდა იმის საშუალებას, რომ საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალებს 2001 წლის თებერვალ-მარტში მიეღო მი-24 კლასის სამი შვეულმფრენი.

მიმდინარეობდა და გადამწყვეტ ფაზაში შევიდა მოლაპარაკება უკრაინის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იუსტინ“-თან, რომელიც საქართველოს მხარეს სთავაზობს უნიკალური ტექნოლოგიის საშუალებით, მოხმარებისა და შენახვისათვის გამოუსადეგარი საარტილერიო, საავიაციო და საზღვაო საბრძოლო მასალების უტილიზაციას, რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება გამონთავისუფლებულ ფეთქებად ნივთიერებათა გადამუშავება სამრეწველო ფეთქებადნივთიერებებად და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში საჭირო მასალად.

ამ ორგანიზაციას შეუძლია აღნიშნული ფუნქციების შემსრულებელი ობიექტების საქართველოში დაპროექტება, მშენებლობა, სამონტაჟო და ამუშავება-გაშვებითი სამუშაოების შესრულება.

აღნიშნულის თაობაზე, ხსენებული პროგრამის განხორციელებისათვის ფირმა „იუსტინ“-ის მიერ წარმოდგენილი საჭირო მასალების თანდართვით უკვე ეცნობა საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწეს ეროვნული უშიშროების საკითხებში, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივან, ნ. საჯაიას, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ, ი. მენაღარიშვილს და საქართველოს თავდაცვის მინისტრ, გენერალ-ლეიტენანტ დ. თევზაძეს.

საქართველოსა და უკრაინას შორის სამხედრო თანამშრომლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სამხედრო კადრების მომზადება. ორი ქვეყნის თავდაცვის სამინისტროებს შორის სამხედრო განათლების სფეროში 05.11.96 წ. შეთანხმებისა და 27.05.97 წ. კონტრაქტის საფუძველზე უკრაინის უმაღლესი სამხედრო სასწავლებლების დაუსწრებელ და დასწრებულ განყოფილებებზე ამჟამად სწავლობს 84 მსმენელი საქართველოდან. ქ. ხმელნიცკის მესაზღვრეთა აკადემიაში სწავლობს 91 კურსანტი, ხოლო უკრაინის შინაგან საქმეთა ეროვნულ აკადემიაში - 30 კურსანტი.

1999-2000 წლებში უკრაინის უმაღლესი სამხედრო სასწავლებლების მიერ გამოშვებული იქნა 22 ქართველი სამხედრო სპეციალისტი. 2000 წელს მესაზღვრეთა აკადემია დაამთავრა 15 პირმა.

აღნიშნულ სფეროში ქართული მხარის, კერძოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, დავალიანება უკრაინის მხარისადმი 01.09.97-31.12.2000 წლების პერიოდში შეადგენს 720.003 აშშ დოლარს (2000 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით); აქედან უკრაინის მხარის მიერ 01.09.97-31.07.98 წ.წ. ქართველ მსმენელებზე სარჩოს სახით გაცემულია 7699 აშშ დოლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოში დღეისათვის შექმნილი მეტად მძიმე ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაისვას უკრაინის თავდაცვის სამინისტროს წინაშე საკითხი დავალიანების რესტრუქტურიზაციის შესახებ, ან ორივე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილების მიღების მიზნით ეს საკითხი განხილულ იქნეს მიმდინარე წლის იანვრის ბოლოს კიევში უკრაინა-საქართველოს ეკონომიკური კომისიის სხდომაზე.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის უკრაინის მხარისადმი დავალიანება შეადგენს 289108 აშშ დოლარს (2000 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).

სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის ასპექტში უდაოდ საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები სისტემატურად იღებდნენ მონაწილეობას „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ნატო-ს პროგრამით უკრაინის ტერიტორიაზე ჩატარებულ სხვადასხვა სამხედრო სწავლებებში.

გასული 2000 წლის 19-30 ივნისს საქართველოს მხარემ ოდესის პორტის აკვატორიაში მიიღო მონაწილეობა სამხედრო-საზღვაო წვრთნა კოოპერატივ „პარტნიორი-2000“-ში, სადაც იგი წარმოდგენილი იყო სარაკეტო კატერით „თბილისი-ბორტი 302“ (აღნიშნულ წვრთნას და უკრაინის თავდაცვის ეროვნული აკადემიის მიერ ქართველი სამხედრო სპეციალისტების გამოშვების საზეიმო ცერემონიას ესწრებოდა საქართველოს თავდაცვის მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი დ. თევზაძე). 8-22 ივლისს საქართველოს შეიარაღებული ძალების ოცეულმა მიიღო მონაწილეობა სახმელეთო ძალების წვრთნაში „მშვიდობის ფარი-2000-ში“, რომელიც ჩატარდა უკრაინის შეიარაღებული ძალების დასავლეთის ოპერატიული სარდლობის იავოროვის პოლიგონზე.

2000 წლის 11-25 სექტემბრის საზღვაო ქვეითთა წვრთნაში „კოზაკი სტეპ-2000“-ში,

რომელიც ჩატარდა ჩაუდას პოლიგონზე, საქართველოს მხრიდან მონაწილეობდნენ სამხედრო-საზღვაო ძალების წარმომადგენლები.

საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან საერთაშორისო-სამართლებრივი ბაზის განვითარება

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მზარდი საერთაშორისო თანამშრომლობიდან გამომდინარე, მომზადდა რამდენიმე საერთაშორისო შეთანხმების პროექტი. კერძოდ:

· შეთანხმების პროექტი "გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საქართველოს შორის თავდაცვის სფეროში სამრეწველო თანამშრომლობის შესახებ";

· შეთანხმების პროექტი „„ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის თავდაცვის სფეროში სამრეწველო თანამშრომლობის შესახებ";

· შეთანხმების პროექტი "თურქეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის სამხედრო მრეწველობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ";

· შეთანხმების პროექტი "იტალიის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის თავდაცვის სფეროში სამრეწველო თანამშრომლობის შესახებ".

აღნიშნული შეთანხმებების საფუძველზე უფრო ეფექტური გახდება საქართველო-თურქეთის, საქართველო-იტალიის, საქართველოსა და ჩეხეთს შორის თანამშრომლობის პრინციპების განვითარება სამხედრო მრეწველობის სფეროში: იარაღის, სამხედრო-ტექნიკური აღჭურვილობის ერთობლივ წარმოებაში, აგრეთვე სამხედრო პროდუქციის მომარაგებაში. სამხედრო აღჭურვილობის სფეროში ერთობლივი კვლევის, განვითარების და წარმოების გამოყენებაში მხარეთა ტერიტორიაზე.

შეთანხმებებით განსაზღვრულია მხარეთა შორის სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის ურთიერთგაცვლა; მხარეთა მიერ ხარისხის გარანტიის დროს, სამხედრო-სამრეწველო სფეროში გამოყენებული სტანდარტების შესახებ ინფორმაციის და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ურთიერთგაცვლა.

2. 2000 წელს შემუშავდა საგარეო საქმეთა სამინისტროში დასკვნისათვის გაიგზავნა შეთანხმების პროექტი "საქართველოსა და უკრაინას შორის სახელმწიფო საიდუმლოების ურთიერთდაცვის შესახებ".

აღნიშნული შეთანხმების პროექტში გათვლისწინებულ იქნა ყველა ის შენიშვნა, რომელიც სხვადასხვა უწყებების მიერ იქნა შემოთავაზებული.

ზემოაღნიშნული შეთანხმება არ ატარებს ვიწრო უწყებრივ ხასიათს, მისი ხელმოწერით ახალ სტადიაში შედის საქართველო-უკრაინის ურთიერთობები, აღნიშნული შეთანხმების ხელმოწერამ უნდა დაინტერესოს საქართველოს მთელი რიგი უწყებები. ხოლო რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს ინტერესებს, მას საშუალება ეძლევა ითანამშრომლოს უკრაინის თავდაცვის სამინისტროსთან პრაქტიკულად ყველა მიმართულებით. გარდა ამისა, უკრაინის შეიარაღებული ძალების სასწავლო დაწესებულებებში ქართველ სამხედრო მოსამსახურეებს მიეცემათ სასწავლო პროცესით გათვალისწინებულ საიდუმლო დოკუმენტაციასთან მუშაობის საშუალება.

3. დამუშავების სტადიაშია შეთანხმების პროექტი "შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო თანამშრომლობის ტაქტიკური ჯგუფის (BLECKSEAFOR) დაარსების შესახებ"

2001 წლის გაზაფხულზე დაგეგმილია ძირითადი დოკუმენტის და რიგი დანართების ხელმოწერა საზღვაო ძალების სარდალთა დონეზე. ამჟამად მიმდინარეობს ხელმოსაწერი ტექსტების მომზადება.

შეთანხმების პროექტის მიხედვით, ყველა გადაწყვეტილება შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ძალებთან დაკავშირებით, მიიღება მხოლოდ კონსენსუსის საფუძველზე.

აღნიშნული შეთანხმების ხელმოწერა საშუალებას მისცემს შავი ზღვის აუზის ქვეყნებს (რუმინეთი, რუსეთი, უკრაინა, საქართველო, თურქეთი, ბულგარეთი) გააღრმავონ და სამომავლოდ განამტკიცონ ურთიერთობები სამხედრო-საზღვაოსფეროში.

4. მომზადდა და საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიგზავნა კითხვარის პასუხები, რომელიც ეხებოდა საქართველო-თურქეთს, საქართველო-უკრაინას, საქართველო-ყაზახეთის რესპუბლიკას, საქართველო-აშშ-სა და საქართველო-საფრანგეთის რესპუბლიკას შორის დადებული რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებების მიმდინარეობას.

5. როგორც ცნობილია, თურქეთის რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებს საქართველოსათვის სამხედრო სფეროში გრანტის გადმოცემის პროგრამას, რომლის მიხედვითაც დაგეგმილია შეიარაღებული ძალების ზოგიერთი ქვედანაყოფისა და ობიექტის ნატო-ს სტანდარტებზე გადაყვანა. აღსანიშნავია, რომ თურქეთის რესპუბლიკა ამგვარი სახის დახმარებას უწევს 28 სხვადასხვა სახელმწიფოს, მაგრამ ასეთი სოლიდური დახმარება გამოყოფილია მხოლოდ 4 ქვეყანისათვის (ალბანეთი, მაკედონია, აზერბაიჯანი და საქართველო).

აღნიშნულიდან გამომდინარე, თურქეთის მხარემ შემოგვთავაზა ხელშეკრულების პროექტი "სამხედრო სფეროში გრანტის შესაებ", რომელიც ითვალისწინებს საქართველოსათვის 4.000.000 აშშ დოლარის მოცულობის დახმარებას. ხელშეკრულების პროექტს თან ახლავს აღნიშნული თანხის ფარგლებში "ფინანსური დახმარების განხორციელების შესახებ" ოქმის პროექტი.

საქართველო-თურქეთს შორის 1999 წლის 16 ივლისს ხელმოწერილი "საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამხედრო სფეროში გრანტის შესახებ" ხელშეკრულებისა და 1999 წლის 19 აგვისტოს ხელმოწერილი "საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ზურგის სფეროში განსახორციელებელი საკითხების შესახებ" ოქმის საფუძველზე, თურქეთის რესპუბლიკის მთავრობამ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გრანტის სახით გამოუყო 750.000 აშშ დოლარი მარნეულის სამხედრო აეროდრომის მოდერნიზაციისთვის.

გამოყოფილი თანხის ფარგლებში, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე ჩამოყალიბდა ოქმის პროექტი - "საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თურქეთის რესპუბლიკის გენერალურ შტაბს შორის მარნეულის აეროდრომის მოდერნიზაციისა და ექსპლუატაციის შესახებ", რომელსაც ხელი მოეწერა ა.წ. 17 ოქტომბერს ქ. ანკარაში საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის ბატონ გ. ქათამაძის ოფიციალური ვიზიტის დროს.

აღნიშნული ოქმის საფუძველზე განხორციელდა მარნეულის აეროდრომის მოდერნიზაციის პირველი ეტაპი ნატო-ს სტანდარტების შესაბამისად, შეიცვალა ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის ბეტონის ფილები; მოეწყო ორი თვითმფრინავისთვის სადგომი მოედნები და შეკეთდა საჭე-სავალი ბილიკი; მოხდა ასაფრენ-დასაფრენი ზოლისა და საჭე-სავალი ბილიკის მარკირება; აიგო ფრენების მართვის კოშკურა; აიგო საავიაციო ტექნიკის საექსპლუატაციო სარემონტო შენობა და შეკეთდა არსებული 2 ანგარი საწყობად გამოყენების მიზნით.

6. განიხილეს იქნა თურქული მხარის მიერ შემოთავაზებული ოქმის პროექტი "თურქეთის რესპუბლიკის გენერალურ შტაბსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის სამხედრო თანამშრომლობის საკოორდინაციო საბჭოს საზოგადო სასტუმროთი სარგებლობის შესახებ". (სასტუმრო განლაგებულია გაერთიანებული სამხედრო აკადემიის ტერიტორიაზე);

7. მოზადდა ხელმოსაწერად შემდეგი პროექტები:

ა) შეთანხმება "საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შორის მატერიალური დახმარების უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ";

ბ) შეთანხმება "საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ესტონეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შორის თავდაცვის საკითხებთან დაკავშირებით ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ";

გ) შეთანხმება "საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ლიტვის რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის სამინისტროს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ";

დ) შეთანხმება "თურქეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის სამხედრო მრეწველობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ".

8. ამჟამად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელშეკრულებო-სამართლებრივი მთავარი სამმართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა მომზადებისა და რეალიზების კონტროლის სამმართველოში განხილვის სტადიაშია შემდეგი პროექტები:

· „საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ევროპის გაერთიანებული ძალების უმაღლეს სარდლობას (SHAPE) შორის, წარმოდგენილს სამხრეთ ევროპაში გაერთიანებული საზღვაო ძალების მიერ (COMNAVSOTH) ~Cooperative Partner - 2001`` (კოოპერატივ პარტნერ-2001) წვრთნაში მონაწილე ძალების მხარდაჭერის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმის" პროექტი;

· "შეთანხმება იტალიის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის სამხედრო სფეროში გრანტის შესახებ";

· „შეთანხმება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს შორის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ";

· "შეთანხმება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სლოვაკეთის რესპუბლიკის თავდაცვის

სამინისტროს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ".

9. მომზადდა და ხელი მოეწერა შემდეგ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებს:

· „ოქმი საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თურქეთის საჰაერო ძალების პერსონალის მიერ საქართველოს საჰაერო ძალების აკადემიური და საფრენოსნო სწავლების განხორციელების შესახებ" (ხელმოწერილია 2000 წლის 15 ივნვარს);

· „ხელშეკრულება საქართველოს აღმასრუ-

ლებელ ხელისუფლებასა და თურქეთის რესპუ-ბლიკის მთავრობას შორის სამხედრო სფეროში გრანტის შესახებ" (ხელმოწერილია 2000 წლის 19 აპრილს);

· „ოქმი საქართველოს თავდაცვის სამინი-სტროსა და თურქეთის რესპუბლიკის გენერალურ შტაბს შორის ფინანსური დახმარების განხორ-ციელების შესახებ" (ხელმოწერილია 2000 წლის 19 აპრილს);

· „ოქმი საქართველოს თავდაცვის სამინი-სტროსა და თურქეთის რესპუბლიკის გენერალურ შტაბს შორის ზურგის სფეროში განსახორ-ციელებელი საკითხების შესახებ" (ხელმო-წერილია 2000 წლის 24 მაისს);

· „ოქმი საქართველოს თავდაცვის სამინი-სტროსა და ჰალო ტრასტს (The HALO Trust) შორის თანამშრომლობის შესახებ" (ხელმოწერილია 2000 წლის 6 ოქტომბერს);

· „ოქმი საქართველოს თავდაცვის სამინის-ტროსა და თურქეთის რესპუბლიკის გენერალურ შტაბს შორის მარნეულის აეროპორტის მოდერ-ნიზაციისა და ექსპლუატაციის შესახებ" (2000 წლის 17 ოქტომბერს).

10. საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებს შორის გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებათა მი მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვებისა და ამ ხელშეკრუ-ლებების რევიზიის მიზნით, შემუშავდა და შესაბამის სამსახურებს დაეგზავნა კითხვარები, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესრულებების მიმდინარეობის ანალიზის საშუალებას მოგვცემს. ამ მიმართებით მუშაობა 2001 წელსაც გაგრძელდება.

აღსანიშნავია, რომ 2000 წლის პროგრამა ძირითადად განხორციელდა ნატო-ს ქვეყნების დაფინანსებით. ეროვნული რესურსების მობილი-ზება თავდაცვის სამინისტროს არ შეეძლო, მათი არ არსებობის გამო. შედეგად დაუფინანსებელი დარჩა ისეთი პროგრამები; რომლებიც ითვა-ლისწინებდნენ საქართველო-უკრაინის სამხე-დრო-პოლიტიკური და სამხედრო-ტექნიკური ურთიერთობების გაღრმავებას, საქართველო-ბალტიისპირეთის ქვეყნების ურთიერთობების (გამოცდილების გაზიარების კუთხით) გაგრძე-ლებას, მთელ რიგ რეგიონალური უსაფრთხოების პროექტებს.

მიუხედავად მთელი რიგი ძალისხმევისა, სახელმწიფოს მხრიდან დღემდე განუსაზღვრელია ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი პრიორი-ტეტები, რის შედეგადაც ვერ ხორციელდება ქვე-ყნის რესურსების რაციონალური და ადეკვატური გადანაწილება.

ამ ბოლო წლის განვმალობაში ნათელი გახდა სუუამ-ის შესაძლებლობები მასში მონაწილე ქვეყნების ეროვნული უსაფრთხოების განვი-თარების თვალსაზრისით. კერძოდ კი, სახეზეა ფაქტი, რომ შესაძლებელი ხდება პოლტიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობიდან თავდაცვითი ხასიათის პარტნიორულ ურთიერთობებზე გადასვლა. ჩვენი ქვეყნის საგარეო და თავდაცვითი უწყებების ადექვატური გააქტიურება ამ მიმარ-თებულით ეროვნული უსაფრთხოების მოთხოვ-ნათა დღის წესრიგში დგას.

მასალა მომზადებულია თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის 2000 წ. ანგარიშის მიხედვით.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

არასამთავრობო ორგანიზაცია — საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი დაფუძნდა 1995 წლის ივლისში. მისი წევრები ცდილობენ შეიტანონ მნიშვნელოვანი წვლილი ჩვენს ქვეყანაში არსებული რთული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის ოპტიმალური გზების შემუშავებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრთან შექმნილია ექსპერტთა ქსელი. ექსპერტთა და ცენტრის თანამშრომელთა ერთობლივი ძალისხმევით განისაზღვრება პრობლემა, რომლის ანალიზის შედეგად მზადდება შესაბამისი მოხსენება ან დოკუმენტი. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმირების მიზნით დამუშავებული ინფორმაცია რეგულარულად გამოიცემა ბიულეტენების, ბროშურების, საინფორმაციო ფურცლებისა და ლიფლეტების სახით, რომელთა უმეტესი ნაწილი უფასოდ მიეწოდება სხვადასხვა სამთავრობო და სამეცნიერო უწყებებს, პოლიტიკურ და არასამთავრობო ორგანიზაციებს, კერძო სტრუქტურებს, პასმედიისა და მსხვილი კორპორაციების წარმომადგენლებს. ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მიზნით თემატურ საჯარო განხილვებსა და სემინარებზე ვიწვევთ ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ამგვარად, ცენტრი აქტიურად ცდილობს, გარკვეული გავლენა იქონიოს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე.

საგულისხმოა, რომ ცენტრის ძირითადი საქმიანობა მიმართულია სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობისაკენ, რაც სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერაში გამოიხატება. ამ მხრივ, ჩვენი საქმიანობა ვრცელდება ქ. თბილისსა, ოზურგეთისა და ლაგოდეხის რაიონებში. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ცდილობს სათემო ორგანიზაციების პოპულარიზაციას და აღნიშნული მოძრაობის განვითარების ხელშეწყობას.

ცენტრის პრიორიტეტული მიმართულებები:

- *საზოგადოება და დემოკრატია*
- *გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება*
- *საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოება*
- *ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკა*

განხორციელებული და მიმდინარე პროექტები

- კანონპროექტი საქართველოს გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ, კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
- კანონპროექტი საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციების შესახებ; კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
- საქართველოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ კონცეფციის შემუშავება;
- ეკონომიკური რეფორმები საქართველოში;
- ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება;
- თვითმმართველობა საზოგადოების სამსახურში;
- შავი ზღვის არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის საერთაშორისო კონფერენციის მომზადება, ქსელის საქმიანობის პოპულარიზაცია;
- ცენტრის ინსტიტუციონალური განვითარება.

ცენტრის დონორი ორგანიზაციები

1. ფრიდრიხ ებერტის ფონდი, გერმანია
2. ნიდერლანდების ორგანიზაცია საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვი-თარებისათვის, ჰოლანდია.
3. ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო".

ცენტრის მხარდამჭერები

❋ ცენტრის ინდივიდუალური „მხარდამჭერი“ მიიღებს ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწერილებით ინფორმაციას და ყოველწლიურ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. უფლება ექნება უფასოდ დაესწროს ცენტრის ყველა სემინარსა და საჯარო ღონისძიებას, ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით.

❋ ცენტრის პარტნიორები, სპონსორები და მხარდამჭერები მიიღებენ ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწერილებით ინფორმაციას და ყოველწლიურ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. კომპანიის/ორგანიზაციის ხელმძღვანელს ან მის წარმომადგენელს უფლება ექნება უფასოდ დაესწროს ცენტრის ყველა სემინარსა და საჯარო ღონისძიებას, კომპანიის/ ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით, გარდა ამისა:

❋ ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის „პარტნიორისა“, კომპანიის შესახებ ინფორმაციას დაეთმობა ერთი გვერდი ბიულეტენში და მცირე მონაკვეთი ლიფლეტში. ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის „პარტნიორი“.

❋ ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის სპონსორისა, ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის სპონსორი.

❋ ცალეული ღონისძიებეის სპონსორი კომპანია ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ღონისძიების „სპონსორი“ და მისი ლოგო წარმოდგენილი იქნება ღონისძიებეზე ცენტრის ლოგოსთან ერთად.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მხარდამჭერები:

❖ კომპანია ზენიტ გამა ქონსალთინგი **(Zenith Gamma Consulting)**

მხარდამჭეროობით დაინტერესებულ პირებს გთხოვთ შეავსოთ თანდართული გამოკითხვის ბარათი და მოგვაწოდოთ ორგანიზაციის მისამართზე.

ცენტრის საქმიანობით დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ, დაგვიკავშირდნენ.
ქ.თბილისი 380094, გამსახურდიას ქ. №33ᵃ, ბინა 22.
ტელ/ფაქსი: (995 32) 964124, 250711
ელექტრონული ფოსტა: csrdg@caucasus.net
http://www.csrdg.caucasus.net

Friedrich-Ebert-Stiftung Bonn Bibliothek

ინდივიდუალური მხარდამჭერის გამოკითხვის ბარათი

☐ მე მსურს გავხდე ცენტრის მხარდამჭერი და მზად ვარ გავიღო 100 ლარი, გთხოვთ, დამიკავშირდეთ.

☐ გთხოვთ, გამომიგზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

☐ მე არ ვარ დაინტერესებული ცენტრის მხარდაჭერით, გთხოვთ, ნუღარ დამიკავშირდებით.

ჩემი კოორდინატებია:

სახელი, გვარი, _____

სამუშაო ადგილი _____

თანამდებობა _____

მისამართი _____

ტელეფონი _____ ფაქსი _____

კოლექტიური მხარდამჭერის გამოკითხვის ბარათი

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის პარტნიორი და მზად არის გაიღოს 5000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის სპონსორი და მზად არის გაიღოს 2000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის მხარდამჭერი და მზად არის გაიღოს 280 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს სპონსორობა გაუწიოს ცენტრის სხვადასხვა საჯარო ღონისძიებას, სემინარს ან კონფერენციას, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ გთხოვთ გამოგვიგზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

☐ ჩვენი კომპანია არ არის დაინტერესებული ცენტრის მხარდაჭერით, გთხოვთ, ნულარ დაგვიკავშირდებით.

ჩვენი კომპანიის კოორდინატებია:

კომპანიის დასახელება _____

მისამართი _____

ტელეფონი _____ ფაქსი _____

საკონტაქტო პირი _____

(სახელი, გვარი, თანამდებობა)

დაიბეჭდა შ.პ.ს. „კომპიუტერში"
ქ. თბილისი, ქრწანისის ქუჩა №3